პროლეტარიელებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 199 (18741) სამშაბათი, 30 აგვისტო 1983 წელი ფასი 3 კაპ.

## იუბილესათვის — არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო!

ულ ცოტა ხანიც, და კარს მოგვადგება თარიღი, რომლის ღირსეული შეხვედრისათვისაც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კარგა ხანია საგულდაგულოდ ემზადებიან. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ახობით გაერთიანების, საწარმოს, საამქროს, ბრიგადის, საამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციის კოლექტივი, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მიმდინარეობს თანმიმდევრული ბრძოლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მაინც, როგორი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დავამთავრეთ მიმდინარე წლის შვიდი თვე? ამ პერიოდში მრეწველობამ, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 146,8 მილიონი მანეთის, ხოლო რეალიზებულია 105 მილიონი მანეთის პროდუქცია. წარმოების ზრდის ტემპმა 105,5 პროცენტი შეადგინა, რაც საგრძნობლად ჭარბობს სოციალისტური ვალდებულებით ნავარაუდევს. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერებას, იგი 4,8 პროცენტით გადიდდა და ეს მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად უსწრებს ვალდებულებით გათვალისწინებულს. წარმატებებია მოპოვებული აგრეთვე სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების და ავტორანსპორტით ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ზრდის მხრივ.

მართალია, კულტურის ძეგლების დაცვის საზოგადოების გარდა, პროდუქციის გამოშვების გეგმა მთლიანად ყველა სამინისტრომ და უწყებამ შეასრულა, მაგრამ მთლიანი და საკავშირო დაქვემდებარების მთელმა რიგმა საწარმოებმა ამ საქმეს ვერ გაართვეს თავი. ეს, უპირველესად, რუსთავის „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებას, თბილისის „ჩარხშენებლის“ საწარმოო გაერთიანებას, რუსთავის ფოლად-ოუჯსამსხმელ ქარხანას, თბილისის ბეწველეულის ფაბრიკას, ბახტრაძის სახელობის სარემონტო ქარხანას და ზოგიერთ სხვა საწარმოს ეხება. სულ ჩამორჩენილთა რიგებში 69 საწარმო, რომლებმაც ერთად აღებულმა სახელმწიფოს 25 მილიონი მანეთის პროდუქცია დაკლეს. ყველაზე სამწუხარო მაინც ის გახლავთ, რომ შარშანდელ შეხვედრის პერიოდთან შედარებით ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი 28-ით გაიზარდა.

საქმის ასეთი ვითარება შეუწყნარებელია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოახლოვდა ქართველი და რუსი ხალხის დმეგობრებისა და ძმობის დიდი თარიღი. ჩვენი დიადი ქვეყნის ყოველი კუთხიდან უამრავი სტუმარი გვეწვევა. ცხადია, რომ საზეიმო გუნება-განწყობილება, უწინარეს ყოვლისა, შრომით მოპოვებულმა წარმატებებმა უნდა განაზღვროს, მან უნდა მისცეს ყღერადობა იმ ღონისძიებებს, რომლებიც საიუბილეო დღეებში განხორციელდება.

ეს მომენტი არც ერთს წუთს არ უნდა გამოვრჩეს მხედველობიდან და ყველაფერი ვიღონოთ მდგომარეობის ოპერატიული გამოსწორებისათვის. ზემოხსენებულ საწარმოთა ხელმძღვანელები მოვალენი არიან გააკეთონ შესაძლებელის მაქსიმუმი ჩამორჩენის დასაძლევად. ამ საკითხის მოსაგვარებლად უნდა წარმართონ მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა საწარმოთა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ჩამორჩენილ საწარმოებს შეუნელებელი, ყოველდღიური კონტროლი უნდა დაუწესონ პარტიის საოლქო, საჭალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა. ეს მოთხოვნები გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში მოცემული მითითებებიდან და დასკვნებიდან:

პარტიულ-სამეურნეო აქტივზე, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში გაიმართა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ არასელსაყრელი ამინდის პირობების შედეგად, რამაც მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა ბევრი სასოფლო-სამეურნეო კულტურის, განსაკუთრებით ყურძნის მოსავლიანობაზე, მოსალოდნელია, რომ გადამუშავებული მრეწველობა წლის მეორე ნახევარში სახელმწიფოს დააკლებს 150-160 მილიონი მანეთის პროდუქციას. ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ სხვა დარგებმა უნდა გამოძებნონ შესაძლებლობანი, რათა დამატებით გამოუშვან სულ ცოტა 170 მილიონი მანეთის ნაწარმი. აქტივის კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ აზრს და ადგილებზე დაბრუნების შემდეგ მათი ახლოსტაური უმტესობა არ ტყნს სიტყვას. ცხადია, ასეთ ფონზე შეუწყნარებელია ჩამორჩენილ საწარმოთა მოთმენა.

რესპუბლიკის მშრომელებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება „შრომის დისციპლინის განმტკიცების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა ის რეზერვია, რომელიც ჩამორჩენილ საწარმოებს აუცილებლად დაძლევინებს სირთულეებს და ჩააყენებს მათ მოწინავეთა რიგებში. ამ მხრივ რესპუბლიკის არა ერთმა და ორმა საწარმომ მიაღწია სახუფელ მიზანს.

უკანასკნელ წლებში გაზეთ „კომუნისტში“ არ დაბეჭდილა ეკონომიკის თემაზე არც ერთი ისეთი სტატია, რომელშიც მეტ-ნაკლებად ლაპარაკი არ ყოფილიყო სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვაზე. ეს ის საკითხია, რომელმაც სამეურნეო მექანიზმის სრულყოფასთან დაკავშირებით წინა პლანზე წამოიწია, საწარმოს კოლექტივის საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელი გახდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით მომხმარებლისათვის პროდუქციის ვალდებულებით გათვალისწინებული დროისათვის მიწოდების გეგმები სისტემატურად იშლება. მართალია, რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით უკანასკნელ ოთხ თვეში ამ მიმართულებით შეიმჩნევა ერთგვარი ძვრები, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო, რომ ლაპარაკიც კი არ ღირს. ფაქტი ფაქტად რჩება: იმ 808 საწარმოდან, რომლებიც სახელშეკრულებო დოკუმენტებით არიან დაკავშირებული, მომხმარებლებთან პროდუქციის რეალიზაციის შვიდი თვის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით, ხოლო ვალდებულებით მიწოდებისა — 96,4 პროცენტით შეასრულეს. მომხმარებელს დააკლდა 188,8 მილიონი მანეთის პროდუქცია. საჭიროა მაქსიმალურად გაძლიერდეს ყველა რანგის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მიცემული სიტყვისათვის, სახელშეკრულებო ვალდებულების უფუო შესრულებისათვის.

როგორც ზემოთ ითქვა, წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა მთლიანად რესპუბლიკაში 105,5 პროცენტი შეადგინა. ეს ცუდი მაჩვენებელი რომაა, მაგრამ უხიამოვნოა ის ფაქტი, რომ იანვარ-ივლისში საწარმოთა 28,7 პროცენტმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შეამცირა წარმოების მოცულობის დონე და სახელმწიფოს ამით 157,7 მილიონი მანეთი დააკლო.

მსგავსი მდგომარეობაა შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივაც. ეს მაჩვენებელი რესპუბლიკაში ჭარბობს გეგმითა და ვალდებულებით გათვალისწინებულს, და ეს მისახალმებელია. ამავე დროს შვიდ თვეში შრომის ნაყოფიერების ზრდის დონე 254 საწარმომ შეამცირა. ეს კი ნიშნავს, რომ როგორც წარმოების მოცულობის, ასევე შრომის ნაყოფიერების დონის ზრდა მთლიანად მიღწეულია მოწინავე საწარმოთა ხარჯზე.

იუბილესათვის მზადება მუშაობის მოწინავე გამოცდილების დანერგვის, სოციალისტური შეჯიბრების განვითარების, სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის კონკრეტული პრობლემების გადაჭრის სტიმული ხდება და ეს შემართება, შრომითი აღმავლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს საბჭოთა ადამიანების, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი, მაქსიმალურად უნდა წარმართოთ მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანათა გადაწყვეტის კალაპოტით. მთავარი ამოცანაა წარმატებით გავართვათ თავი ცხრა თვის დავალებებს, უზრუნველყოთ სახელოვანი იუბილესათვის ღირსეული შეხვედრა.

## საფრანგეთში ა. ა. გრომიკოს ვიზიტის შესახებ

**საფრანგეთის** მთავრობის მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო საფრანგეთს სამუშაო ვიზიტად ეწვევა ამა წლის სექტემბრის პირველ დეკადაში.

## თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

**29 აგვისტოს** სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნებისა და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებათა გამგეების თათბირი. თათბირზე გაიხილეს „პირველადს, რაიონულ, საქალაქო, საოკუგო, საოლქო და სამხარეო -პარტიული ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მოწყობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის საკითხები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ე. კ. ლიგაჩოვმა. კამათში მონაწილეობდნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი რ. თ. დემენტიევა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ა. ტიტარენკო, ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. პ. მოყაევი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. ნაზარბაევი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ე. თ. იაკუშევი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ტ. ნ. ოსტროვი, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. ი. კარდამავიჩიუსი, როსტოვის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. დ. პივოვაროვი, ყრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანი ლ. გ. სიზოვი. აზრთა გამოთქმის დროს თათბირის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა კეთდება ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მომზადებისათვის, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ წლევანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ასეთი დიდი მასშტაბით პირველად ეწყობა XXVI ყრილობის შემდეგ. პარტიის საქმიანობაზე უდიდეს გავლენას ახდენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის, 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომელმაც განსაზღვრეს ახლანდელ ეტაპზე პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის პრინციპული მიმართულებანი. ანგარიშგება-არჩევნები გაიმართება ხუთწლედის პასუხსაგებ მიჯნაზე: მთავრდება მისი მესამე წელი, ქვეყანამ დაიწყო მთლიანად ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლის დამამთავრებელი ეტაპი.

ამ პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კრებებისა და კონფერენციების მოწყობას მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე, რათა ღრმად და თვითკრიტიკულად გავაანალიზოთ მუშაობა ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მითითებათა შესრულებისათვის, დავსახოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებების შესაბამისად კრებებისა და კონფერენციების მუშაობაში ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების საკითხებმა. მთელი ყურადღება უნდა დავუთმოთ იმას, რომ ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების დასახულ ტენდენციას მყარი ხასიათი მივანიჭოთ, მაქსიმალურად ავანაზღაუროთ ხუთწლედის პირველ წლებში დაშვებული ჩამორჩენა, წარმატებით შევასრულოთ მთლიანად წლიური გეგმა და შევქმნათ 1984 წელს ეკონომიკის შეწონასწორებული და ეფექტიანი განვითარების საამქრო ბაზა. უპირველესი მნიშვნელობა აქვს ხარისხთბრივი მაჩვენებლების ამაღლებას. პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა მკაცრ დაცვას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას, საწარმოო სამძღვარეების, ბინების დროული ამოქმედების უზრუნველყოფას, ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას. სოფლის მეურნეობაში პირველ ადგილზე დგას მოსავლის დროული აღებისა და მისი გადამუშავების, საკვების დამზადების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულების ამოცანები. ყველა უბანზე მუშაობის მაღალი შედეგების უზრუნველყოფა ანგარიშებისათვის პარტიულ ორგანიზაციათა საუკეთესო მომზადებაა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შრომის დისციპლინის ყოველმხრივ გაგმტკიცებას. ღრმად უნდა გავაანალიზოთ ორგანიზებულობისა და წესრიგის განმტკიცებისათვის მუშაობა, უმკაცრესად გავკიცხოთ ის კონკრეტული პირები, რომლებიც არღვევენ დისციპლინას ან სრული თავდადებით არ მუშაობენ. ყველგან უნდა ავამოქმედოთ სულიერი, მატერიალური, ორგანიზაციული ფაქტორები, შევქმნათ წარმოებაში ისეთი პირობები, რომლებიც შეუძლებელს გახდის უდისციპლინობის რაიმე გამოვლენას.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს საფუძვლიანად უნდა განვიხილოთ პარტორგანიზაციების პრაქტიკული ღონისძიებანი იდეოლოგიური მუშაობის, როგორც მთელი პარტიის საქმის, გაუმჯობესებისათვის, საკვანძო სახალხო-სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტასთან მისი კავშირის განმტკიცებისათვის. უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ მონაწილეობენ ხელმძღვანელები, კომუნისტები ადამიანების აღზრდაში, ცალკე გამოვყოთ ახალგაზრდობასთან მუშაობის, ამ მუშაობაში პარტიის ვეტერანთა ფართოდ ჩაბმის საკითხები. სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმას, რომ გაძლიერდეს ბრძოლა ბურჟუაზიული -იდეოლოგიის გავლენის, ჩვენს გარშემო უცხო შეხედულებებისა და ზნე-ჩვეულებების, შემოპარვების ცდების, ყველა ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ.

კრებებსა და კონფერენციებზე ღრმა განხილვის საგანი უნდა გახდეს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხები. ამ მუშაობის მდგომარეობა ბევრად განსაზღვრავს პარტიული ორგანიზაციების ძალასა და გავლენას და მეტად მნიშვნელოვანია ყურადღება მივაპყროთ მის საკვანძო პრობლემებს. ერთ-ერთი მათგანია პარტიული რიგების განმტკიცება. მთავარია პარტორგანიზაციების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესება, პარტიაში მიღებისას მკაცრი ინდივიდუალური შერჩევა. ყოველმა პარტიულმა ორგანიზაციამ—პირველადმა, რაიონულმა, საოლქომ, სამხარეომ — პარტიაში მიღების საკითხი უნდა გადაწყვიტოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანეს უბნებზე კომუნისტების განაწილების გაუმჯობესებასთან მჭიდრო კავშირით.

დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ამოცანაა პარტიული კომიტეტების პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონის ამაღლება, მუშაობის სტილის სრულყოფა. ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ ბანაგ ი. ვ. ანდროპოვის მითითებების შესაბამისად პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, შესრულების კონტროლისა და შემოწმების გაძლიერების, თათბირებისა და სხდომების მოწესრიგების, სამსახურებრივი ქაღალდების შემცირების ღონისძიებებს. მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა ყველგან ერთნაირად როდი წარმოებს. ზოგიერთი პარტიული კომიტეტის საქმიანობას ჯერ კიდევ აკლია ის ინიციატივა და გერგილიანობა, რომლებიც მთლიანად შეესაბამება გაზრდილ ამოცანებს.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის საკვანძო საკითხი, ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, არის იმ ადამიანების, კადრების შერჩევა, რომლებიც იმუშავებენ არჩევით ორგანოებში. ხელმძღვანელი ორგანოების ყველა დონეზე უნდა ავირჩიოთ ენერგიული და ავტორიტეტიანი ამხანაგები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ორგანიზატორულ მუშაობაში და შეუძლიათ გაიყოლიონ ადამიანები. დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელ ორგანოებში მუშების, ქალების არჩევას, გამოცდილი კადრების სწორად შეხამებას ახალგაზრდების, ნიჭიერი მუშაკების დაწინაურებასთან, პარტიულ ორგანოებში სხვადასხვა ეროვნების კომუნისტთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფას, ქმედითი რეზერვის შექმნას.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ანგარიშგება-არჩევნები ჩატარდეს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების, ნამდვილი დემოკრატიზმისა და პრინციპულობის მკაცრი დაცვის ვითარებაში. რეგულარულად უნდა განიხილონ კრებებისა და კონფერენციების მიმდინარეობა, ოპერატიულად მოახდინონ რეგიერება კომუნისტების შენიშვნებსა და წინადადებებზე.

პარტიაში ანგარიშგება-არჩევნები მუდამ იყო მთელი ქვეყნის ცხოვრების დიდი მოვლენა. ისინი განაწყობენ კომუნისტებსაც და უპარტიოებსაც უფრო თავდადებით იშრომონ სამშობლოს საკეთილდღეოდ, ხელს უწყობენ მასებთან პარტიული ორგანიზაციების კავშირის შემდგომ განმტკიცებას. საჭიროა უზრუნველყოთ კრებებისა და კონფერენციების ფართო საჯაროობა, სისტემატურად და საფუძვლიანად გავაშუქოთ მათთვის მზადება, მათი მუშაობა ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, ტელევიზიით და რადიოთი. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შეძენილი გამოცდილების განზოგადებას, ნაკლოვანებების პრინციპულ კრიტიკას.

თათბირში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სამხედრო პოლიტორგანოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდესი).

## ყურძენს კრეფენ სამთაწყაროელები

**ეს რამდენიმე** წელია რთველს ყველაზე ადრე წითელწყაროს რაიონი იწყებს. ასეა წელსაც. მახარობელი სოფელ სამთაწყაროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაა.

გუშინ ყურძნით დატვირთული მანქანების კოლონა წითელწყაროს მარანს მიადგა.

ღვინის ქარხნის ხელმძღვანელობამ (დირექტორი კ. კობაიძე) ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ შეფერხებანი და გაუგებრობა არ იყოს ყურძნის მიღებასა და შაქრიანობის განსაზღვრაში.

მარტო სამთაწყაროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა წელს სახელმწიფო მარანში 2.500 ტონა ყურძენს მიიტანს. გეგმა კი 1.585 ტონას ითვალისწინებს.

სეტყვამ, თქეშმა და გვალვამ ვერ გატეხა წითელწყაროელ მევენახეთა სიტყვა. წელს 58 ათას ტონა ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს. მეტიც რომ იყოს, მათ შორს წასვლა არ მოუხდებათ — ღვინის ქარხნებს 67 ათასი ტონა ტევადობის ჭურჭელი აქვთ მომზადებული. მალე რთველი წითელწყაროს რაიონის სხვა სოფლებშიც გაჩაღდება.

**ვლ. მჭედლიშვილი.**
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

## დიპლომი ხარისხისათვის

**საკავშირო** პროფსაბჭოსა და სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის დიპლომი 1982 წელს მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისა და სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვებისათვის მიენიჭა ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანას.

განმარტა რა ეს მოვლენა, საწარმოს დირექტორმა ე. გოგავამ. თქვა:

— ჩვენი ქარხანა ქვეყანაში ერთადერთია, რომელიც უშვებს ტექნოლოგიურ მოწყობილობას ჩაის მრეწველობისათვის. მას ვუგზავნით არა მარტო რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებს, არამედ კრასნოდარის მხარის და აზერბაიჯანის სსრ საწარმოებს, აგრეთვე მოძმე ვიეტნამს. ეს ჩვენს მშრომელებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. შარშან გამოვუშვით 64,5 პროცენტი ხარისხისნიშნიანი მანქანები, გეგმა კი 44 პროცენტს ითვალისწინებდა. საპატიო ხუთკუთხედით ვუშვებთ ათი სახელწოდების მოწყობილობას. კიდევ უფრო მაღალ მაჩვენებლებს მივაღწიეთ წლიულს. შვიდი თვის განმავლობაში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების დავალება 153,1 პროცენტით შევასრულეთ. (საქინფორმი).

## საკავშირო მეჯიბრეგაში გამარჯვებული

**ლანჩხუთი.** ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების მშრომელები წარმატებით იბრძვიან რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის მუშაკებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების მოსაპოვებლად და ჩინებულ შედეგებსაც აღწევენ. მეორე კვარტალში აქ გამოუშვეს 14 მილიონ 600 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს 150 ათასი მანეთით აღემატება. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 40 ათასი მანეთი დაიზოგა.

სწორედ მეორე კვარტალში მოპოვებული წარმატებებისათვის ხაკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკების საბრეწველო გაერთიანება, მის სახელზე მოსკოვიდან მიღებულ დეპეშაში ვკითხულობთ:

— „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგია, ცენტრალური კომიტეტის პროფკავშირის პრეზიდიუმი მხურვალედ ულოცავენ მუშებს, იხაინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების და საკავშირო კვების მრეწველობის სამინისტროს დარგობრივი პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მინიჭებასა და პირველ პრემიას.

ლანჩხუთელებმა ამ დღეებში საზეიმოდ ჩაიბარეს საკავშირო დროშა. (ხაკ. კორ.).

## გეგმის გადამეტებით

**ვანი.** (ხაკ. კორ.). ბეჯითად შრომობენ რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მშრომელები. ისინი წარმატებით ასრულებენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. ამაზე ნათლად მეტყველებს წლის განვლილ 7 თვეში მოპოვებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლები:

| | |
|---|---|
| ვალდებულებით ნაკისრი | 1.605 |
| ათასი მანეთის ნაცვლად | 1.723 |

ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა, ხოლო რეალიზაციის დავალება 129 პროცენტით შესრულდა.

შეჯიბრების მოწინავენი ვ. ამაღლობელი, ნ. ტყეშელაშვილი, ლ. აბრამიძე, თ. ჩახუნაშვილი და სხვები ყოველდღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ. კომბინატელებს გადაწყვეტილი აქვთ წლიური საწარმოო დავალება ვადაზე ხუთი დღით ადრე — 25 დეკემბრისათვის შეასრულონ.

## კვაისაში გარდაქმნებია

**წლის** დამდეგიდან მესამე მრავალბინიანმა საცხოვრებელმა სახლმა მიიღო ახალმოსახლეები დაბა კვაისაში. ახალი ბინების გასაღები გადაეცათ შრომის ვეტერანს ალიხან ხუგაევს, მოწინავე გვრიობგამყვანებს პავლე ნანიევს, ლორია ქოქოშვილს და სხვებს.

წლის დამლევამდე ახალმოსახლეებს შეასახლებენ კიდევ ორ 40-ბინიან და ერთ 45-ბინიან სახლებში, მოსაფლტებულია თითქმის ყველა ქუჩა.

კვაისის სოციალური განვითარება ეკონომიკური პარალელურად ხორციელდება. ტყვიათუთიის მაღაროთასამმართველოს მშრომელები არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებენ თვიურ გეგმებს.

— სოციალურ-კულტურული, აგრეთვე საწარმოო დანიშნულების ობიექტების დაჩქარებული მშენებლობა, — თქვა მაღაროთასამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ვ. ეუკოვმა, — ხელს უწყობს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, „საკფერადმეტშახტმშენის“ შახტსაშენებელი უბნის, „საქშახტმშენის“ სამშენებლო სამმართველოს, სამთო კაპიტალური სამუშაოების უბნის, სამსხვრევ-სახარისხებელი კომბინატის შექმნა. მიმდინარეობს კომბინატის ტექნიკური განახლება. ქვედა ჰორიზონტების გადახსნისას ახალი მძლავრი დასატვირთ-გადმოსატვირთი ტექნიკის დანერგვამ სამჯერ გაადიდა შრომის ნაყოფიერება. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისთვის ნაკისრი ვალდებულებები სრულდება.

**ბორის** რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობაში წარმატებით გრძელდება კუორკოვანი ხილის კრეფა. მოწინავეთა შორის არის ის (№ 2) ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი არსენ ღოლიჯაშვილი ხელმძღვანელობს. გეგმით გათვალისწინებული 50 ტონის ნაცვლად აქ უკვე მოკრეფეს ან ხახელმწიფოს ჩაბარეს 85 ტონა კურკოვანი ხილი.

აქაური მეხილეები ფიქრობენ სეზონის ბოლომდე 85 ტონას გადაჭარბონ. მეურნეობას ხილის კრეფაში აქტიურად ეხმარებოდნენ სკოლის მოსწავლეები, რომელთა შორის გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდა მეცხრეკლასელი ნ. ქარელიშვილი.

**სურათზე:** ნ. ქარელიშვილი.

ვ. გენგიურის ფოტო.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ განიხილა „უხეში და წვნიანი საკვების დამზადების სამუშაოების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილების შესრულების ღონისძიებათა საკითხი.

ბიუროს სხდომაზე მოწვეული იყვნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, რესპუბლიკური და რაიონული სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, იმ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რომლებსაც კავშირი აქვთ ამ საკითხთან.

აღინიშნა, რომ შარშანდელ დონესთან შედარებით საკვების დამზადების უპირატესი ტემპის მიუხედავად, მნიშვნელოვან ფართობებზე საკვები კულტურების მოსავალი ჯერ კიდევ არ არის აღებული. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ბევრი რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებმა შეასუსტეს კონტროლი საკვების დამზადების მიმდინარეობისადმი, მომთხოვნელობა მეურნეობათა სპეციალისტებისა და ხელმძღვანელებისადმი.

ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი სამეურნეო მუშაკიც, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ უხეში და წვნიანი საკვების დანაკლისს შეავსებენ კონცენტრირებული საკვებით — სახელმწიფო რესურსებიდან მისი მიღების მეოხებით. რაიონების, მეურნეობების ზოგიერთი ხელმძღვანელი კი სჯერდება იმით, რომ წელს დამზადებულია შარშანდელთან შედარებით რამდენადმე მეტი უხეში და წვნიანი საკვები.

ბევრგან ჯერ კიდევ დაბალია საკვები კულტურების მოსავლიანობა, სუსტად ავსებენ საკვებ რესურსებს მეორეული რესურსების და კერძოდ, ნაწვერალზე ნათესების ხარჯზე, განსაკუთრებით წელს, როცა გაზაფხულისა და ზაფხულის დამდეგის უაღრესად არახელსაყრელი ამინდის პირობების გამო რესპუბლიკაში თითქმის მთლიანად დაიღუპა 43 ათას ჰექტარზე მეტი საკვების სავარგული.

კვლავ არადამაკმაყოფილებელია ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გამოყენება, დაბალია მათი პროდუქტიულობა, არადა მათი ფართობი რესპუბლიკაში ორ მილიონ ჰექტარს აღწევს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ბალახის ფხვნილის წარმოებისა და ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები, კერძოდ, აღინიშნა, რომ კომბინირებული საკვების ამ დიდმნიშვნელოვან კომპონენტს რესპუბლიკაში ჯეროვან მნიშვნელობას არ

# უკუღელი

ფაქტების, მოვლენების, საკლესიო იუწყება


**პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება - არჩევნები**

# მცირერიცხოვანი სუსტს როდი ნიშნავს

ვადები იმდენად იყო შემჭიდროებული, რომ თუნდაც რამდენიმე დღით შემცირება თითქოს შეუძლებელიც ჩანდა. მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა ინიციატივა და საერთო საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა უბნის კომუნისტებისა, რომლებმაც პარტჯგუფის კრებაზე გადაწყვიტეს ეს სამუშაოები ვალდებულებით გათვალისწინებულზე რამდენიმე დღით ადრე შეესრულებინათ. სიტყვას საქმეც მოჰყვა. კომუნისტების ლ. სმულსკის, მ. და ვ. ფაციები, აგრეთვე უპარტიო მუშების ზ. ხუფაკარიასა და ჯ. მხეიძის მეცადინეობით, რომლებმაც ყოველ ღონე იხმარეს დანაპირების შესრულებისათვის, ამ ავტომატურ ხაზს საპირველმაისოდ დიდძალი ნაწარმი ჰქონდა დამზადებული.

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება ამ პარტჯგუფის ცხოვრებიდან, რომლის წევრები თავიანთ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უშუალოდ სამუშაო ადგილებიდან მოვიდნენ. განვლილ პერიოდში როგორც უბნის, ისე მთლიანად კომბინატის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებები, კარგი პერსპექტივები, მართლაც რომ, ჩინებულ განწყობას უქმნიდა კრების მონაწილეებს. მაგრამ ისინი სულაც არ მოქცეულან მიღწეულით გამოწვეული თვითკმაყოფილების ტყვეობაში. პირიქით, კომუნისტებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საქმიანობაში არსებულ ხარვეზებს, საკან ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და წლევანდელი ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებთან, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების მოთხოვნებთან მჭიდრო ურთიერთკავშირით დასახეს მათი გამოსწორების, უკეთ მუშაობის გზები და საშუალებები.

როგორც კრებაზე აღინიშნა, უბნის სამივე ბრიგადამ წარმატებით გაართვა თავი საგეგმო დავალებათა შესრულებას. ეს კი მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმანაც, რომ იქ ხელშესახებად იგრძნობა ავანგარდული როლი პარტიული ჯგუფის წევრებისა, რომლებიც სათანადო ყურადღებას უთმიდნენ მშრომელებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან ინდივიდუალურ მუშაობას, საგეგმო დავალებათა შესასრულებლად მათს დარაზმვას, პარტიის რიგების თვისებრივ ზრდას (საანგარიშო პერიოდში ორი ახალგაზრდა მოამზადეს პარტიის რიგებში შესასვლელად). პარტიული ჯგუფის გამართულ მუშაობას კი ბევრად შეუწყო ხელი ხელმძღვანელობამ, და დახმარებამ, რომელსაც მას არ აკლებდნენ პარტიული კომიტეტი, საამქრო პარტორგანიზაცია. სწორედ მათი თანადგომით დადებითად გადაიჭრა ჯგუფის წინა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტთა მიერ დაყენებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

და სწორედ იმის შეგრძნებამ, რომ მათ მიერ თქმული არ რჩება უყურადღებოდ და უკვალოდ, განაპირობა ამ კრებაზეც კომუნისტთა აქტიურობა. ისინი პირუთვნელად, პრინციპულად მსჯელობდნენ პარტიული მუშაობის გაუმჯობესებისა თუ საწარმოო გეგმების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე... ამას კარგი ტონი მისცა მოწინავე ახალგაზრდა მშრომელის, პარტჯგუფორგის ლ. ღვინჯილიას შინაარსიანმა საანგარიშო მოხსენებამ.

კრებაზე ითქვა, რომ კომბინატში პირველად სწორედ მათს უბანზე დაინერგა შრომის პროგრესული, ბრიგადული მეთოდი, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა დისციპლინა, აამაღლა ადამიანთა პასუხისმგებლობა. ამასთანავე ნაყოფიერად მუშაობენ დამრიგებლებიც. ყოველ ახალბედას თავისი მასწავლებელი ჰყავს, რომელიც ერთნარად ზრუნავს მისი დაოსტატებისა და იდეურ-პოლიტიკური მომზადებისათვის. ყოველივე ამან კარგი ნაყოფი გამოიოო. მაგრამ, როგორც მოწინავე მუშამ ლ. სმულსკიმ აღნიშნა, ამ მხრივ მაინც ბევრია გასაკეთებელი მთლიანად კომბინატის მასშტაბით.

ამ ბოლო ხანს, თქვა მან, ბევრი ახალი მოწყობილობა დაეკომანტაჟეთ, რომელთა ექსპლოატაციას საგანგებოდ მომზადებული კადრები სჭირდება. ხოლო ჩვენ ჯეროვნად არ ვზრუნავთ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის. სათანადო პროფტექნიკურ სასწავლებლებში არ ვამზადებთ ახალგაზრდებს, რომლებსაც შეიძლებათ სრულყოფილად მართონ და შეაკეთონ თანამედროვე ტექნიკა. ამიტომაც მოსალოდნელია მალე ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, ფეხი ვერ ავიწყოთ ტექნიკური პროგრესის მიღწევებს.

კომუნისტის ეს სიტყვები უთუოდ ყურადსაღებია, რადგან, მართალია, უბანში იღვწის ბევრი ისეთი გამოცდილი და წარჩინებული ადამიანი, როგორიც არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. რიგვავა, სპორტის ნიშნის ორდენოსანი ლ. მირცხულავა, საწარმოს ვეტერანი მ. ბაგათელია და სხვები, რომლებიც თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უშურველად უზიარებენ ახალგაზრდებს, ზრუნავენ მათი პროფესიული დაოსტატებისათვის, მაგრამ სათანადო თეორიული ცოდნის გარეშე, მარტოოდენ პრაქტიკული გამოცდილებით ახალბედა დღეს შორს ვერ წავა. ამიტომაც კომბინატის პარტიულმა კომიტეტმა, ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა იღონონ ახალგაზრდა და კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, რომლებიც უფრო განამტკიცებენ საწარმოს პოზიციებს. სხვაგვარად, თვით ლ. სმულსკისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, მომავალში მარტო ენთუზიაზმის წყალობით მუშაობა არ გამოადგებათ.

კომუნისტებმა დიდი ყურადღება დაუთმეს იდეოლოგიურ მუშაობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მისი გაუმჯობესების აუცილებლობას. აღინიშნა აგიტატორების, ლ. ღურწკაიას, ა. ფარკვანიას, ი. ჯიჯონაიას კარგი საქმიანობა. პარტიული ჯგუფი საამქროს კეთილმოწყობილ წითელ კუთხეში ხშირად მართავს სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებებს: წვეთამყოფთა გაცილებას, ხუფაკარიას წარმოების ვეტერანებთან, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებთან და სხვ.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მთელი მსვლელობის მანძილზე იგრძნობოდა მისი მონაწილეების ერთსულოვანი მისწრაფება—„იდეა უფრო გაუაზრებლად მუშაობა, იბრძოლონ ახალი წარმატებებისათვის, თავიანთი წვლილი შეტანონ მშობლიური საწარმოს შემდგომ წინსვლაში. ეს აღინიშნა კრების მონაწილეთა მიერ მიღებულ დადგენილებაშიც.

**რ. რუსია,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# კონსტრუქციული მიდგომა

**გამოხმაურება**

**ი. ვ. ანდროპოვის პასუხი გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე კვლავ საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. საზღვარგარეთის ქვეყნების თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, მახსობრივი ინფორმაციის საშუალებები აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირი კვლავ ცხადყოფს თავისი კონსტრუქციული პოლიტიკის მშვიდობისმოყვარეობას, თანამიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას, თავის კეთილ ნებას. ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს გამალებული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემის გადაწყვეტისათვის, ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების შემცირების თაობაზე მორიგებათა მიღწევისათვის.**

მთელი მსოფლიოს მბღოინობით ადამიანისათვის, რომლებიც მოითხოვენ არა მარტო ბირთვული არსენალების შემცირებას, არამედ მათ სრულ მოსპობასაც, ჟენევაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების განახლების წინშეტანილ ახალ საბჭოთა სამშვიდობო წინადადებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი ოპტიმიზმსა და იმედს გვისახავს, ნათქვამია **მშვიდობის მხოფლიო საბჭოს** განცხადებაში. ი. ვ. ანდროპოვის მიერ წამოყენებული კონსტრუქციული ინიციატივები სსრ კავშირის კეთილი ნების გამოვლინებაა, ეს ინიციატივები ცხადყოფენ საბჭოეთის მოქნილ, გულახდილ პოზიციას, დასტურებენ მის ერთგულებას საყოველთაო მშვიდობისა და განიარაღების საქმისადმი.

ფართოდ განმარტავს ი. ვ. ანდროპოვის პასუხს ამერიკის პრესა. საბჭოთა ხელმძღვანელის განცხადება იმის შესახებ, რომ ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საბჭოთა კავშირი, თუ შეამცირებს თავის საშუალო სიშორის რაკეტებს ევროპის ევროპულ ნაწილში ინგლისისა და საფრანგეთის რაკეტების რიცხვის დონემდე, მოსპობს ყველა შესამცირებელ რაკეტას, იქნება იმ ჩიხის აღმოფხვრის გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელშიც უკვე ორი წელიწადია არის ყოფილი მოლაპარაკება, წერს **„ბოსტონ გლობი“**. სსრ კავშირს არაერთგზის წამოუყენებია კონკრეტული სამშვიდობო ინიციატივები, მათ შორის წინადადება ევროპაში როგორც საშუალო სიშორის, ისე ყველა ტაქტიკური ბირთვული საშუალების მოსპობის შესახებ. მაგრამ დასავლეთმა უარყო ისინი. როგორც ი. ვ. ანდროპოვმა გაუსვა ხაზი, ჟენევაში მოლაპარაკების განმავლობაში სწორედ საბჭოთა კავშირი, და არა ამერიკის შეერთებული შტატები, იჩენდა მოქნილობას ამ სიტყვის ნამდვილი, კონსტრუქციული თვალსაზრისით.

ახალ საბჭოთა ინიციატივას მაღალი შეფასება მისცა მანჰატენსაშენებელი და ეროკოსმოსური მრეწველობის მუშათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა, ამერიკის შრომის ფედერაცია-საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა **უ. უინპისინგერმა.** „დიდად მაიმედებს წინადადება, რომელიც ი. ვ. ანდროპოვმა წამოაყენა, — განაცხადა მან. — მიმაჩნია, რომ ეს არის ახალი წინ გადადგმული ნაბიჯი ჟენევაში კონკრეტულ მორიგებათა მიღწევის გზაზე. რეიგანის ადმინისტრაცია პოზიტიურად უნდა გამოეხმაუროს საბჭოთა ინიციატივას“.

ინგლისური **„ტაიმსი“** ხაზს უსვამს: „მოსკოვის ახალი დიდი ღონისძიება ადასტურებს საბჭოთა ხელმძღვანელობის მეკნილ პოზიციას ჟენევის მოლაპარაკებაზე და იმედს გვინერგავს, რომ მიღწეული იქნება შეთანხმება საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ. სსრ კავშირის მზადყოფნა მოსპოს სს-20 რაკეტების მეტი ნაწილი იმ შემთხვევაში, თუ დაიდება ურთიერთმისაღები შეთანხმება, საბოლოო ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებას ამ მოლაპარაკებაზე პროგრესის მიღწევის გზაზე“. **„სანდი ტელეგრაფი“** თავის მხრივ, აღნიშნავს რა სსრ კავშირის ახალ წინადადებას საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ, ხაზს უსვამს: „ეს ინიციატივა მთლიანად აცლის ფეხქვეშ ნიადაგს იმათ, ვინც ამტკიცებდა, რომ სსრ კავშირი ამირებს შეინარჩუნოს რაკეტები, რომ მას სურს მათი გადაადგილება სსრ კავშირის აზიურ ნაწილში. საფუძველი ეცლება ჩინეთისა და იაპონიის მიერ გამოთქმულ შეშფოთებას ასეთი გადაადგილების შესაძლებლობის გამო“. გაზეთი **„ობზერვერი“** წერს: „სამშვ ეხება ყველაზე თანამედროვე რაკეტების მნიშვნელოვანი რაოდენობის მოსპობას. ეს სერიოზული ნაბიჯია ჟენევაში შეთანხმების მიღწევის გზაზე“.

დღეს სააგენტო იმოწმებს ბონის ოფიციალურ წრეებს და იუწყება: **„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა** აპირებს გულდასმით გააანალიზოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მიერ ჩამოყალიბებული საბჭოთა კავშირის პოზიციის ახსნა-განმარტება საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების შესახებ, მათ შორის მისი მზადყოფნა მოსპოს სს-20 რაკეტების ნაწილი“. ამასთან პრესა წერს, რომ ბონი კვლავინდებურად ილაშქრებს ნატოს ბირთვული ძალების შეფასების დროს ინგლისისა და საფრანგეთის პოტენციალის სათვალავში შეტანის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელმძღვანელის მიერ წამოყენებული ახალი წინადადება მოწმობს, რომ მოსკოვი ცდილობს შეამციროს საშუალო სიშორის ბირთვული იარაღი, განაცხადა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ **ჰ. ემკემ.** ამავე დროს მან გააკრიტიკა ჟენევის მოლაპარაკებაზე ამერიკის პოზიცია და ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა „ბოლოს და ბოლოს წამოაყენონ საკუთარი კონსტრუქციული და დამაჯერებელი წინადადებანი“.

**ფოტოფაქტი**

## ხელკეტების „დემოკრატია“

**ხელკეტები, ბორკილი, ცრემლსადენი გაზი — ამ და სხვა ამგვარ საშუალებას იყენებენ კაპიტალისტური ქვეყნების ხელისუფალნი, რათა გაუწყორდნენ მრავალრიცხოვან მანიფესტანტებს — მშვიდობის მომხრეებს. მაგრამ, მკაცრი რეპრესიების მიუხედავად, იზრდება დასავლეთში მშვიდობის მომხრეთა რიგები, გრძელდება საზოგადოებრივობის ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების და ნატოს მიერ გაჩაღებული უგუნური გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ.**

**სურათზე, რომელიც ეურნალ „შტერნში“ დაიბეჭდა, აღბეჭდილია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციის მონაწილეთა დარბევის მომენტი.**

**შემოხვევა**

## ჭურვმა იმსხვერპლა

**ჟენევა.** ქალი და მისი ოთხი შვილიდან სამი დაიღუპა საარტილერიო ჭურვის აფეთქების შედეგად შვეიცარიის სამხრეთში მდებარე დაბა რარენის მახლობლად. მეოთხე ბავშვი სერიოზულად დაჭავდა.

პოლიციის მონაცემებით, ჭურვი, რომელიც მათი დაღუპვის მიზეზი გახდა, ამა წლის დამდეგს ამ რაიონში გამართული სამხედრო მანევრების შემდეგ „დარჩენოდათ“.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა იმ რაიონების მცხოვრენი, სადაც შვეიცარიის არმიის ჭვრთნა გამართულა, დაკარგული ტყვიაწამლის მსხვერპლნი გამხდარან. მაგალითად, ამა წლის ივლისში სამი კაცი დაიღუპა ქალაქ ვალენშტადტის რაიონში ნალმის აფეთქების შედეგად.


**მოკლედ**

**ტელეტაიპის ლენტიდან**

**იზრდება ინფლაცია**

● **ბრიუსელი.** „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში ინფლაციის ზრდის საშუალო-წლიურმა ტემპმა მიმდინარე წლის ივლისში 8,4 პროცენტს მიაღწია. ამის იუწყება ევროპის გაერთიანებათა კომისიის სტატისტიკური სამსახური.

**ქმნიან კიდევ ერთ „სიკვდილის ბანაკს“**

● **ბეირუთი.** ისრაელი ოკუპანტები აპირებენ სამხრეთში ლიბანში შექმნან კიდევ ერთი საკონცენტრაციო ბანაკი. აქ მიღებული ცნობების თანახმად, მისი აგება დაგეგმილია ანსარის განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის საკონცენტრაციო ბანაკის მახლობლად, სადაც არადამიანურ პირობებში იტანჯება დაახლოებით 8 ათასი ლიბანელი და პალესტინელი პატრიოტი.

„სიკვდილის კიდევ ერთი ბანაკის“ მშენებლობის გადაწყვეტილება ასახავს ინტერვენტების ცდებს სასტიკი რეპრესიებით ჩააბშონ ისრაელის ოკუპაციისადმი მზარდი წინააღმდეგობა.

**შეთქმულთა გასამართლება**

● **ჯორჯთაუნი.** სურინამში დაიწყო იმ შეთქმულთა ჯგუფის სასამართლო, რომლებიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მხარდაჭერით აპირებდნენ დაემხოთ პროგრესული რეჟიმი ეროვნული სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის დენი ბოუტერსის მეთაურობით. მაგრამ შეთქმულება დროულად გამოაშკარავდა და მისი ყველა მონაწილე დაპატიმრებულია. გამომძიებელმა ორგანოებმა დაადგინეს, რომ პუტჩისტების მეთაურს მაიორ როი ხორბს, რომელმაც თავი მოიკლა, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამერიკის დაზვერვასთან და ინსტრუქციებისათვის შეერთებულ შტატებში ჩადიოდა.

**გაიმართა არჩევნები**

● **ლაგოსი.** მიმდინარე წლის 20 აგვისტოს გაიმართა ნიგერიის პარლამენტის უმაღლესი პალატის — სენატის არჩევნები, რომლის დროსაც ქვეყნის მმართველმა ეროვნულმა პარტიამ მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები. ოფიციალური მონაცემების თანახმად, არჩეული 85 სენატორიდან 55 ნიგერიის ეროვნული პარტიის წევრია. სენატის წინა შემადგენლობაში ამ პარტიას მხოლოდ 36 მანდატი ჰქონდა.


# სასოფლო საბჭოს მისია

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა**

**სოფლად** სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომა ზუგდიდის რაიონის კახათის სახლხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს საქმიანობის დამახასიათებელი ნიშანია. სასოფლო საბჭოს დეპუტატთა მონაწილეობით ადგილობრივი კოლმეურნეობის მიერ შეიმუშავებული 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. დეპუტატების აქტიურობის მეობებით პრეზიდიუმის თანამიმდევრულად ხორციელდება.

განიხილა რა თავის სხდომაზე კახათის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაობა „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესრულებისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხაზი გაუსვა, რომ აღმასკომის, საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები საქმიანობით გამოირჩევა. საზოგადოებრიობისათვის საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში ამაღლდა სასოფლო საბჭოს მიერ მოწყობილი სასოფლო ყრილობების როლი. უფრო მიზანდასახული გახდა საბჭოს, მისი ორგანოებისა და დეპუტატების მუშაობა საკონტროლო ფუნქციების განხორციელებისათვის.

ამავე დროს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე შეეხნენ აგრეთვე საბჭოს საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს.

განხილული საკითხის გამო მიღებულ დადგენილებაში განსაზღვრულია საბჭოს საკოორდინაციო და საკონტროლო საქმიანობის სრულყოფის, მისი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი. აღინიშნა, რომ საჭიროა გააქტიურდეს დეპუტატთა საქმიანობა მოსახლეობის შრომითს და ზნეობრივ აღზრდაში, ახალი სოციალისტური ტრადიციების დამკვიდრებაში.

რესპუბლიკის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დაეგალათ უფრო ეფექტიანად განახორციელონ საქართველოს სსრ კონსტიტუციით, შესაბამისი კანონით მინიჭებული უფლებამოსილებანი, ხელი შეუწყონ თავიანთ საქმიანობაში დემოკრატიზმისა და საჯაროობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

სხდომაზე მოისმინეს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ანგარიში იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთ საწარმოში შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევების შესახებ“.

პრეზიდიუმის მსჯელობის საგანი გახდა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად საქართველოს შავი ზღვის აუზის სამართველოს მუშაობა თევზის მარაგის დაცვისა და აღდგენა-გამრავლებისათვის და თევზჭერის რეგულირებისათვის.

სხდომაზე შეეხნენ აგრეთვე ხაშურისა და ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებში მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობას, მთელ რიგ სხვა საკითხებს, რომელთა გამო მიიღეს დადგენილებანი.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა.

(საქინფორმი).

# ხილბოსტნეულის პრობლემა?

**დიალოგი აქტუალურ თემაზე**

**ახლა ყველასათვის ცნობილია, თუ რა სახიკითო გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფო გეგმების შესრულებაზე საადამაზადებლო საქმიანობაში სიახლეთა დანერგვამ. დღეს ეს კარგად იგრძნობა თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და სხვა სამრეწველო ქალაქების მშრომელთა ხილბოსტნეულით რეგულარულად მომარაგებაში. ხილბოსტნეულით მშრომელთა მომარაგების საკითხებზე საკითხებზე გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს ნ. ქებაძეს.**

**კითხვა: გთხოვთ, ჩვენი გაზეთის მკითხველთა უამბოთ, რა მდგომარეობაა ხილბოსტნეულით დედაქალაქის მშრომელთა მომარაგების საქმეში. წინანდელთან შედარებთ რა გაუმჯობესდა და ახლო მომავალში რას მოელის მომხმარებელი?**

**პასუხი:** მომხმარებელია ჩვენი საქმიანობის პირუთვნელი შემფასებელი; ვფიქრობ, ურიგო არ იქნება გადავხედოთ ახლო წარსულს და დღევანდელობას. ქალაქელებმა კარგად იციან, თუ რის შეძენა შეიძლებოდა ამ ათი წლის წინათ თბილისსა და სხვა ქალაქების ხილბოსტნეულის მაღაზიებში და რა მდგომარეობაა იქ დღეს. ახლა მაღაზიებში წელიწადის ყოველ დროს იყიდება საადრეო და საგვიანო კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი. რამდენიმე საგულისხმო ციფრი: 1975 წელს თბილისში 19,8 ათასი ტონა კარტოფილი და 20,4 ათასი ტონა ბოსტნეული გაიყიდა. 1982 წელს კი თბილისელმა მშრომელებმა მიიღეს 35,6 ტონა კარტოფილი და 39 ათასი ტონა ბოსტნეული. ამან ხელი შეუწყო თბილისელთა პროდუქტებით უკეთ მომარაგებას და ოჯახის ბიუჯეტის განმტკიცებას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ხილბოსტნეულის მაღაზიები ამ ბოლო წლებში სულ უფრო მეტ კონკურენციას უწევენ საკოლმეურნეო ბაზარს. მაგრამ, ნათქვამია სიმართლე აღიარებული სჯობიაო: ბაზრის კონკურენციის საკითხი ჯერჯერობით ყველგან ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ეს რთული პრობლემაა, ბევრ კომპლექსურ საკითხს მოიცავს და ასე ერთბაშად და მთლიანად ვერ გადაწყდება. კომპლექსური ღონისძიებების მთავარი პუნქტებია: პროდუქტების უხვად წარმოება, მისი ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ვაჭრობის კულტურის სრულყოფა. უმთავრესი კი ის არის, რომ მომხმარებელს წლის ყოველ დროს მივაწოდოთ მათთვის სასურველი და მოსაწონი პროდუქცია. მივაწოდოთ იმას, რომ ბაზარს მტკიცე კონკურენცია გავუწიოთ, რომ პროდუქტები იქაც გაიაფდეს.

რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ხელშეწყობითა და დახმარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხილბოსტნეულით მშრომელთა მომარაგება, ამაღლდა პროდუქტების ხარისხი და ბევრ ბაზარში გაიაფდა კიდეც. 1982 წელთან შედარებით წელს საკოლმეურნეო ბაზრებში კარტოფილის ფასი საშუალოდ 33 პროცენტით შემცირდა, საადრეო კარტოფილისა — 19 პროცენტით, კომბოსტოსი — 38 პროცენტით, კიტრისა — 15 პროცენტით, ნივრისა — 21, ხახვის — 11, ვაშლის — 25 პროცენტით.

მაგრამ ჩვენ ხომ რეალისტები ვართ: გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. ცხოვრება წინ მიდის, მშრომელთა მოთხოვნილების დონე დღითი დღე მატულობს და ჩვენ მოვალენი ვართ მომხმარებლის გადიდებული მოთხოვნილება დროის შესაფერისად მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ.

მაგრამ ჩამორჩენას სუბიექტურთან ერთად ობიექტური მიზეზებიც ახლავს. სავაჭრო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თბილისში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ნორმით ყოველ ათას მცხოვრებზე 14,5 კვადრატული მეტრი სავაჭრო ფართობი უნდა მოდიოდეს, თბილისში კი ძალზე ნაკლები — 8,5 კვადრატული მეტრი მოდის. სამინისტროს ხელმძღვანელობა ბევრს ფიქრობს, რომ ამ ნაკლს თავი დავაღწიოთ. ბევრგან ახალ შენობათა პირველ სართულებზე ვაწყობთ ხილბოსტნეულის მაღაზიებს, გლდანის დასახლებაში დაიწყო ეგრეთ წოდებული „მოდელის“ მშენებლობა, რომლის საერთო ფართობი 1.200 კვადრატული მეტრი იქნება, მალე დამთავრდება ყოფილი ვერის ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე უნივერსალური მაღაზიის რეკონსტრუქცია. ეს იქნება სანიმუშო მაღაზია, რომელიც აღიჭურვება სამმაგლო და უცხოური ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით, მაღაზია სრული თვითმომსახურებით იმუშავებს, მომხმარებელს საშუალება ექნება წვრილად დაფასოებული და დახარისხებული პროდუქცია თვითონ აარჩიოს. ამას გარდა წელიწადს 12 სავაჭრო ობიექტი განახლდება.

**კითხვა: თქვენ ერაკი პროდუქციის ხარისხს შეეხეთ, გთხოვთ მკითხველს გააცნოთ ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებასაც აპირებთ უახლოეს მომავალში ხილბოსტნეულის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

**პასუხი:** პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა და ზრუნვა ბაღებში, ბოსტნებსა და ბაღჩებში იწყება. ეს მწარმოებელმაც და მომხმარებელმაც კარგად იცის, მაგრამ ჩვენი მაღაზიების თაროებზე ხშირად შეხვდებით უხარისხო პროდუქციას. უხარისხო პროდუქცია მაღაზიაში რომ იგზავნება, ამაში უწინარესად მეურნეობები სცოდავენ. მეურნეობათა ხელმძღვანელების უგერგილობისა და დაუდგენობის ბრალია, რომ უხეირო პროდუქციის სავაჭრო ქსელში გაგზავნით ეკონომიკურად თვითონ მეურნეობები, მათი შრომელები ზარალდებიან. მეურნეობათა შეცდომების გამოსასწორებლად ბევრი მაღაზიის მუშაკი არაფერს ფიქრობს, პირიქით, ზოგიერთები მომხმარებელს უხეშად მიმართავენ — გინდა იყიდე, გინდა არა, არავინ გაძალებსო. ჩვენი მიზანია ეს ნაკლი მალე გამოვასწოროთ.

წლის ყოველ დროს ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად მარნეულის ოაროვეგა-დამახინჯებათა შესახებ. ამ სხდომაზე მოურიდებელი ლაპარაკი იყო იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს როგორც წარმოებაში, ისე ვაჭრობის სფეროებში. სხდომაზე ითქვა, რომ საცალო საქონელბრუნვის გეგმების შეუსრულებლობა ძირითადად იმის ბრალია, რომ აგრარული სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებები (ე. ნიკოლაიშვილი, გ. თელია, ჯ. თუშიშვილი) დამაკმაყოფილებლად ვერ ხელმძღვანელობენ ვერც თბილისხილბოსტანეაჭრობის, და ვერც მისი რაიონული განყოფილებებისა და სამეთაფო ბაზების მუშაობას, არ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს იმისათვის, რომ მკვეთრად გაუჯობესდეს ფართო ასორტიმენტის საქონლის ვაჭრობის საქმე, მათ ვერ უზრუნველყვეს მიმწოდებელი მეურნეობებიდან პროდუქციის შეუფერებლად მიტანა სავაჭრო ქსელში, ირღვევა პრინციპი: მეურნეობა-მაღაზია-მომხმარე ბ ე ლ ი.

რესპუბლიკის ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრმა, ამხანაგმა თ. ჯაბადარმა ბევრი ისეთი ფაქტი მოიყვანა, იმის თაობაზე, თუ როგორ ირღვევა პროდუქტების წარმოების აგროვადები, როგორ უგერგილოდ მუშაობენ ვაჭრობისა და უწინარეს ყოვლისა თბილისხილბოსტანეაჭრობის (თ. ჯიშკარიანი) აპარატის მუშაკები, რაიონული რგოლის ხელმძღვანელები. მათი წაყრუების გამო ხშირად მაღაზიებში არის უხეირო პროდუქტების ვაჭრობის შემთხვევები, საცალო ფასების მომატების, წონაში მოტყუების, მაღაზიების მუშაკთა უსუფთაობისა და მომხმარებლისადმი უხეშნი დამოკიდებულების ფაქტები.

ყოველივე ამის და თბილისხილბოსტანეაჭრობის, მისი რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობის გამო წელს 7 თვეში საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას 5,2 მილიონი მანეთი დააკლდა. კოლეგიამ სათანადო ღონისძიებანი დასახა, რომელთა განხორციელებისათვის ხელმძღვანელებიცა და რიგითი მუშაკებიც ენერგიის დაუზოგავად უნდა გაისარჯონ.

**კითხვა: მშრომელთა შენიშვნებსა და წინადადებებს მაღაზიების ხელმძღვანელები და არა მარტო მაღაზიების, თბილისხილბოსტანეაჭრობისა და მისი რაიონული რგოლების ხელმძღვანელებიც არაფრად დაგდიეთენ, საჩივრებსა და წინადადებების წიგნი ზოგან ცარიელია, ზოგან არის ჩანაწერები, მაგრამ არავინ კითხულობს. რატომ?**

**პასუხი:** მართალია. ეს საქმე სავაჭრო ქსელში მოისუსტებს. კრიტიკის ძალას არა მარტო მაღაზიების მუშაკები, არამედ ხალხიც სათანადოდ უნდა გრძნობდნენ. და დროზეც რეაგირებდნენ. ამ ბოლო დროს სამინისტრომ დიდი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს, განთავისუფლებული არიან მაღაზიების დირექტორები, სექციონერები, გამყიდველები. ხილბოსტნეულის ბაზის ხელმძღვანელები და ზოგიერთი მუშაკიც გათავისუფლეს და სამართალში არიან მიცემული. ასე, რომ, ჩვენ არავის მივცემთ უფლებას ხელი აფთიოროს სახელმწიფოსა და მშრომელთა საოჯახო ეკონომიკაში. ბოლოსდაბოლოს ხილბოსტნეულით მომარაგების საქმეს დაუძლეველ პრობლემად რატომ უნდა ვიქცევდეთ?

**კითხვა: ბევრი მაღაზიის მუშაკები, ცხადია, კარგად, სინდისიერად და კულტურულად ემსახურებიან მომხმარებელს, მაგრამ არცოუ ისე ი

# ორგანიზაციორული მუშაობის გააქტიურებისათვის

**ქუთაისის** სახალხო კონტროლის საქალაქო, ლენინისა და ავტოქარხნის რაიონული კომიტეტები ბოლო ხანს სრულყოფენ სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელობასა და ორგანიზატორულ საქმიანობას.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად შეადგინა სახალხო კონტროლის ორგანოების გააქტიურების ერთობლივ ღონისძიებათა 1982-83 წლების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ამ მხრივ კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებას, მათ შორის სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომ გაძლიერებას.

წარმოების, მართვისა და მომსახურების სხვადასხვა უბნებზე სახალხო კონტროლიორთა აქტიურობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1983 წლის ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ, რომელიც მომთხოვნელობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში გაიმართა, კრებებსა და კონფერენციებზე გამოითქვა 2000-ზე მეტი კრიტიკული შენიშვნა და წინადადება, რომელთაგან 832 სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობას შეეხებოდა. განსაკუთრებით მკაცრად გააკრიტიკეს ის ჯგუფები და სახალხო კონტროლიორები, რომლებიც უინიციატივობას, უმოქმედობას იჩენდნენ, ამ მიზეზით აღარ აირჩიეს 15 მეთაური და 13 საამქრო ჯგუფის თავმჯდომარე, 17 საგუშაგოს ხელმძღვანელი.

ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ სახალხო კონტროლის ძირეული ჯგუფები და საგუშაგოები ორგანიზაციულად განმტკიცდა, უფრო ქმედითი და აქტიური გახდა, დაიხვეწა მათი მუშაობის ფორმები და მეთოდები. კრებებსა და კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების სარეალიზაციოდ სახალხო კონტროლიორებს მიეცათ მუდმივი დავალებები, ბიუროს წევრები მიმაგრეს საამქროს ჯგუფებს მათი მუშაობის გააქტიურების მიზნით, მოეწყო ახლად არჩეული სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა სწავლება ქალაქში შექმნილი 18 დარგობრივ მეთოდიკურ კაბინეტში.

სახალხო კონტროლის კომიტეტებმა და ჯგუფებმა კონტროლი დაიწესეს კრებებსა და კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციის მიმდინარეობაზე. განმტკიცდა მიმაგრებული შტატგარეშე ინსპექტორთა კონტაქტები ჯგუფებთან, მათი უმრავლესობა მონაწილეობდა პირველი შემოწმების მომზადებასა და მოწყობაში. ამის შედეგად მკვეთრად ამაღლდა შემოწმებების ეფექტიანობა. ჯგუფების მიერ მოწყობილი პირველი შემოწმებების შედეგად 2 საკითხი განიხილეს სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, 15 — დირექციებმა, 27 — პარტიულმა ორგანიზაციებმა.

მაგალითად, ტყავფეხსაცმლის კომბინატის სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა პირველი შემოწმება გამოშვებული პროდუქციის ხარისხს მიუძღვნა. გამოვლენილი სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევების შესახებ იმსჯელა მეთაურმა ჯგუფმა და შემოწმების მასალები რეაგირებისათვის დირექციას გადასცა, რომელმაც, თავის მხრივ, მდგომარეობის გამოსასწორებლად ქმედითი ღონისძიებანი განახორციელა. თანასაჯა 4 დამნაშავე მუშაკი. შეადგინეს ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი განახორციელა. ღონისძიებათა ანალიზის შედეგები მოისმინეს რაიონული კომიტეტების სხდომებზე, ხოლო საქალაქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელებისათვის ტყავფეხსაცმლის კომბინატისა და ტროლეიბუსების სამმართველოს სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობის შესახებ.".

პირველ შემოწმებათა ორგანიზებულად მოწყობამ, სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონული კომიტეტების სისტემატურმა ყურადღებამ და მხარდაჭერამ გაუმჯობესა შემოწმების ხარისხიც. დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა სახალხო კონტროლის კომიტეტების მიერ ჯგუფებისადმი პრაქტიკული დახმარების სისტემა. „მოსკოვის ოლქის სახალხო კონტროლის ლენინის რაიონული კომიტეტის მუშაობის შესახებ" სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის მიმდინარე წლის 27 მაისის დადგენილების შესაბამისად, რაიონული კომიტეტების შტატგარეშე სორგანიზაციო განყოფილებებმა შექმნეს სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის ანალიზისა და მათდამი დახმარების საჯაროობის, სწავლებისა და მეთოდიკური მუშაობის დაგეგმვისა და შემოწმებათა კოორდინაციის სექტორები. დაინერგა ჯგუფებზე მიმაგრებული შტატგარეშე ინსპექტორების, სახალხო კონტროლიორთა სკოლების პროპაგანდისტთა ინფორმაციებისა და ანგარიშგების მოსმენა.

კომიტეტების საქმიანობაში სათანადო ადგილი უჭირავს სახალხო კონტროლის ჯგუფების დადებითი გამოცდილების განზოგადებას. ქუთაისის საქალაქო და რაიონული კომიტეტების შტატგარეშე სორგანიზაციო განყოფილებებმა სხვა დარგობრივ განყოფილებებთან ერთად შეისწავლეს 94 ჯგუფის მუშაობა. მათგან 18 საკითხი განიხილეს კომიტეტების სხდომებზე. მაგალითად, საქალაქო კომიტეტის სორგანიზაციო განყოფილებამ გააანალიზა ქუთაისში სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში სახალხო კონტროლიორთა მუშაობის შედეგები და სათანადო რეკომენდაციები შეიმუშავა.

გაძლიერდა სახალხო კონტროლის ჯგუფების კონტაქტები პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან. მარტო მრეწველობის დარგის 41-მა სახალხო კონტროლის მეთაურმა ჯგუფმა შარშან და წელს მათთან ერთად 145 ობიექტი შეამოწმა.

სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე საამქრო ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის გასააქტიურებლად. რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის ბაზაზე ჩატარდა სახალხო კონტროლის საამქრო ჯგუფების თავმჯდომარეთა საქალაქო შეკრება, ხოლო ელექტრომექანიკური ქარხნის დარგობრივ მეთოდკაბინეტში მოეწყო ავტოქარხნის რაიონის სამრეწველო საწარმოთა საგუშაგოების ხელმძღვანელთა თათბირ-სემინარი, საქალაქო კომიტეტმა შეისწავლა ქუთაისის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებაში სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს სახალხო კონტროლის საამქრო ჯგუფის საქმიანობა, ხოლო სახალხო კონტროლის ლენინის რაიონული კომიტეტმა—საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის"— სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის მიერ საამქრო ჯგუფებისა და საგუშაგოების გააქტიურებისათვის გაწეული მუშაობა.

ჯგუფებისადმი სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონული კომიტეტების დახმარების ეფექტიანობის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ უკანასკნელ ხანს სახალხო კონტროლის ჯგუფები სულ უფრო მეტად ამხელენ საკუთარ ორგანიზაციებში არსებულ ნაკლოვანებებსა და დარღვევებს. მარტო შარშან და მიმდინარე წლის 6 თვეში ქუთაისის სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა ჯგუფების მიერ აღძრული 14 საკითხი. მათი ნაწილი ითვალისწინებდა თანამდებობის პირთა უყაირათობის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს, მაგალითად, ავტოქარხნის რაიონულმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა კონტროლის ჯგუფის წინადადებას და უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს დაავალა ახსნა-განმარტებით გამოსულიყო კოლეგიტივის წინაშე, ხოლო ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს გამოუცხადა საყვედური და, წარმოებისათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით ფულადი დარიცხვა დაეკისრა და სხვა.

სახალხო კონტროლიორთა აქტიურობის ამაღლებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისა და მის შემდგომ პერიოდში სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უზრუნველყვეს სახალხო კონტროლიორთა მიერ გაწეული საქმიანობის ფართო საჯაროობა. წლეულს 6 თვეში გაზეთების „ქუთაისისა" და „კუტაისკაია პრავდას" ფურცლებზე გამოქვეყნდა 65 მასალა. მაგრამ, ამასთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სახალხო კონტროლიორთა გააქტიურებისათვის გაწეულ მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებები.

სახალხო კონტროლის კომიტეტებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს ყველა ჯგუფისა და კონტროლიორის ამოქმედება. თანაბარი ყურადღება არ ექცევა სახალხო მშენებლობის სხვადასხვა დარგის ჯგუფებს, თუ ბოლო წელიწად-ნახევარში საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მრეწველობის 14 ჯგუფის მუშაობის საკითხი განიხილეს, მხოლოდ თითო-ჯერ მოისმინეს მშენებლობის, ვაჭრობის, მეცნიერებისა და განათლების დარგების ჯგუფების საქმიანობა. საერთოდ, შესწავლილი არ არის კავშირგაბმულობის, მედიცინის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების სფეროს სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობა, ასეთმა ცალმხრივმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ სუსტად მომუშავე ჯგუფების უმრავლესობა სწორედ ამ სფეროებშია.

სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტები ჯეროვნად არ ეხმარებიან საავტომობილო ქარხნისა და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საწარმოო კომიტეტების მუშაობის სწორად დაგეგმვისა და წარმართვის, შემოწმებათა ხარისხის გაუმჯობესების, საკონტროლო საქმიანობაში ყველა სახალხო კონტროლიორის ჩაბმის ღონისძიებათა განხორციელებას.

სახალხო კონტროლის ყველა ჯგუფსა თუ საგუშაგოს როდი აქვს შექმნილი მუშაობისათვის საჭირო პირობები, ზოგან მათთვის არ არის გამოყოფილი ოთახები და კუთხეები; ნაკლები ყურადღება ექცევა მოწონივე სახალხო კონტროლიორთა მორალურ და მატერიალურ წახალისებას.

ქუთაისელი სახალხო კონტროლიორები ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყვნენ და იმედია, რომ მომავალშიც გააქტიურებენ ბრძოლას საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მტკიცე სახელმწიფო დისციპლინისა და წესრიგის დასამყარებლად.

**ვ. ფანცხავა,**
**ა. ოთარაშვილი,**
**საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორები.**

*ᲛᲐᲡᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ*

# ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ № 190

# ᲩᲐᲕᲐᲧᲔᲜᲝᲗ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ!

**არც** მეტი, არც ნაკლები — ზუსტად 22.592 მანეთი გადაიხადეს სოხუმის პირველი საქალაქო საავადმყოფოსათვის შეძენილი აპარატში „რენტგენ-30". ეს იყო 1981 წელს. როგორც ჩანს, აქ ეს დანადგარი სულაც არ სჭირდებოდათ, რადგან ახლაც დარსა თუ ავდარში საავადმყოფოს ეზოში დგას. იმავე წლის ნოემბერში მიიღეს და დღესაც არ დაუმონტაჟებიათ სოხუმის მე-2 საავადმყოფოში 72,6 ათასი მანეთის ღირებულების კარდიომონიტორი, ასევე უქმად დგას მიმდინარე წლის დასაწყისში შეძენილი „კარდიოკომპლექსი-3", რომელშიც 5.087 მანეთი გადაიხადეს, და 990 მანეთად ღირებული — ფონოკარდიოგრაფი.

გუდაუთის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში არ იყენებენ 14 დასახელების სამედიცინო აპარატს, რომელთა საერთო ღირებულება 41.050 მანეთია. მათ შორისაა ჯერ კიდევ 1980 წელს შეძენილი 21.670-მანეთიანი რენტგენის აპარატი. 1996 მანეთის სამედიცინო მოწყობილობა ცდება ოჩამჩირის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოშიც.

შემოწმებულ საავადმყოფოებში უხეშად ირღვევა სამედიცინო აპარატურისა და მოწყობილობის აღრიცხვის, დაცვის, ტექნიკის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესები.

მაგალითად, ქალაქ სოხუმის მთავარი ექიმის აპარატის ცენტრალიზებულ ბუღალტერიასა (მთავარი ექიმი — ა. სიჭინავა, მთავარი ბუღალტერი — მ. დობრაია) და ოჩამჩირის ცენტრალურ საავადმყოფოში არასწორად ადგენენ საინვენტარო ბარათებს, არ ნომრავენ ინვენტარს, ბარათებში ნაჩაენები არ არის ცვეთის პროცენტი, გუდაუთის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში კი ასეთი ბარათები საერთოდ არა აქვთ.

ზოგიერთი საავადმყოფოში ირღვევა საბუღალტრო ანგარიშგების და ბალანსის შესახებ დებულება, მაგალითად სოხუმის პირველ და მეორე საქალაქო საავადმყოფოებში 1979 წლის შემდეგ არ მოუწყვიათ სამედიცინო მოწყობილობისა და აპარატურის ინვენტარიზაცია, ხოლო გუდაუთის რაიონულ საავადმყოფოში 1981 წელს საერთოდ არ ყოფილა ინვენტარიზაცია, 1982 წელს კი ნაწილობრივ შეამოწმეს. ანალოგიური მდგომარეობაა გულრიფშის რაიონის სოფელ წებელდის უბნის საავადმყოფოში.

ოჩამჩირის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში ზოგჯერ არ არის დანაშნული სამედიცინო მოწყობილობისა და აპარატურისათვის პასუხისმგებელი პირები, ხოლო სოხუმის მე-2 საქალაქო საავადმყოფოსა და გუდაუთის ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში ასეთ პირებთან არა აქვთ გაფორმებული ხელშეკრულებანი. სოხუმის პირველ საავადმყოფოში 17.323 მანეთად ღირებული სამედიცინო მოწყობილობა დღემდე ირიცხება პირებზე, რომლებიც 1980 წლიდან აქ აღარ მუშაობენ. მართალია, სოხუმის პირველი საავადმყოფოდან ნეროლოგიის განყოფილების სამედიცინო მოწყობილობა, რომლის ფასიც 3.329 მანეთია, შარშან აპრილში მე-2 საავადმყოფოს გადაეცა, მაგრამ დღემდე აღრინდელ ფფლობელზე ირიცხება. ასეთი უკონტროლობის შედეგია, რომ აპარატი „ტონუს-2" (ფასი 605 მან.) არც პირველ საავადმყოფოში აღმოჩნდა და არც მეორეში. ოჩამჩირის რაიონულ საავადმყოფოში ადგილზე არ აღმოჩნდა 463 მანეთად ღირებული 2 სამედიცინო აპარატი.

მოუწესრიგებელია ახალ სამედიცინო ტექნიკაზე განაცხადების მიღების საქმეც, ხშირად გაცხადებაში არ არის შეტანილი ისეთი მოწყობილობა და აპარატურა, რომლებიც დიდად შეუწყობდა ხელს მკურნალობის გაუმჯობესებას.

ყოველივე ეს იმით არის გამოწვეული, რომ აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები სუსტად აკონტროლებენ სამედიცინო ტექნიკის დაკომპლექტებას, დაცვასა და გამოყენებას, ამ მიმართულებით არ იჩენენ საჭირო პრინციპულობას. როგორც ჩანს, არც სამედიცინო დაწესებულებების სახალხო კონტროლიორები ზრუნავენ იმისათვის, რომ სამედიცინო ტექნიკა და მოწყობილობა ხალხის ჯანმრთელობას ემსახურებოდეს.

ამ დღეებში აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მკაცრად იმსჯელა ამ საკითხზე და მდგომარეობის გამოსასწორებლად სერიოზული ღონისძიებებიც დასახა.

**რ. გორგაძე.**

# ᲓᲐᲕᲖᲝᲒᲝᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ

**სახალხო** კონტროლის ცაგერის რაიონული კომიტეტი ენერგეტიკული რესურსების გამოყენებითა და ყაირათიანი ხარჯვით დაინტერესდა. გამოირკვა, რომ ბოლო ხანებში შეინიშნება ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის დადებითი ტენდენციები. მაგალითად, შემოწმების დროს ნაცვლად 7.630 ათასი კილოვატისა დახარჯული იყო 7.050 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. მიუხედავად ამისა, ენერგოსისტემაში მაინც არის ელექტროენერგიის დანაკარგები. ამ მხრივ ყოველად მიუტევებელი მდგომარეობაა კომუნალურ საწარმოთა კომბინატში, სადაც ელექტროენერგიის გადახარჯვამ 157.400 კილოვატსაათი შეადგინა. აღრიცხვა და ნორმირება არ არის მოწესრიგებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში. ამ დაწესებულების ისეთი ობიექტები, როგორიც არის აღპანის ვულკანიზაციისა და მოსაპირკეთებელი საამქროები, ორბელის საზეინკლო სახელოსნო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი უნებართოდ არიან ჩართული ელექტრქსელში.

რაიონის თითქმის ყველა საოფლო-სამეურნეო არტელში ცაგერის და ტკაშის კომეურნეობების გარდა, ჩაშლილია ელექტროენერგიის აღრიცხვის საქმე. არა აქვთ დამონტაჟებული ელექტრომრიცხველები, კოლმეურნეობებს ელექტროენერგიის ხარჯი ეწერებათ დანადგარების სიმძლავრის მიხედვით. ეს დიდ ზარალს აძლევს საზოგადოებრივ მეურნეობებს. უკონტროლობით ჩხუტელის კოლმეურნეობაში გადახარჯულია 13.449 კილოვატსაათი ელექტროენერგია, ღვირიშში — 12.058 კილოვატსაათი, ალპანაში — 6.600, ლაილაშში — 7. 671, ლაჯანაში — 23.521, ორბელში — 18.800 კილოვატსაათი. სულ რაიონის კოლმეურნეობებში გადაიხარჯა 112.050 კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც ფულადი გამოხატულებით 1.120 მანეთს შეადგენს.

დანაკარგების აღმოსაფხვრელად ღონისძიებათა განუხორციელებლობისათვის კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა მკაცრად დასაჯა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და დაავალა მათ არსებულ ნაკლოვანებათა უახლოეს პერიოდში გამოსწორება.

**ვ. ᲪᲘᲠᲔᲥᲘᲫᲔ.**

*ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ*

# „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ" ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲔᲜ

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲘᲭᲝ ᲡᲐᲥᲔᲥᲡᲚᲝᲢᲐᲪᲘᲝ ᲢᲠᲔᲡᲢᲘ

**„კომუნისტში" დაბეჭდილი წერილი „ᲩᲮᲣᲩᲮᲣᲩᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲝᲚᲐ" შეეხებოდა საწარმოებისა და მოსახლეობის მიერ წყლის უყაირათოდ ხარჯვას. ამასთან დაკავშირებით თბილისის კალინინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის მმართველმა ი. ᲑᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔᲛ გვიპასუხა:**

წერილში მოყვანილი ფაქტები, გამოავლინა თბილისის სახალხო კონტროლის კომიტეტმა. შარშან წყლის დაუზოგავი და უყაირათო ხარჯვისათვის სათანადო სასჯელი დაედოთ № 62, 65, 66 და 68 საბინაო საექსპლოატაციო უბნების უფროსებს, განეახორციელეთ სათანადო ღონისძიებები, შეივიმუშავეთ წყლის ყონვისა და დაზიანებათა ლიკვიდაციის, მისი მომჭირნედ ხარჯვის გეგმა-გრაფიკი.

ამჟამად მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. თუ რაიონის საბინაო საექსპლოატაციო უბნებს შარშან წყლის ხარჯვაში დიდი ზარალი ჰქონდათ, წელს მაჩვენებელი დაგეგმილ ზარალზე ნაკლებია.

* * *

## ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲠᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

**„კომუნისტში" დაბეჭდილ წერილში „აი რა მოსდევს უპასუხისმგებლობას", ლაპარაკი იყო ტყიბულის სადგურში გაჩენილ ხანძარზე, რაზედაც სამტრედიის სადგურის განყოფილების უფროსმა Თ. ᲑᲐᲪᲘᲙᲐᲫᲔᲛ გვიპასუხა:**

რკინიგზის სამტრედიის განყოფილებამ ოპერატიულ თათბირზე განიხილა აღნიშნული საკითხი და ნაკოობსტატუმის მეთანქანე ნ. მშვილდაძე გაათავისუფლა სამუშაოდან. საქმე გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მის მისაცემად.

## ᲒᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲐᲜ, ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ

**სახალᲮᲝ კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის გადამაყენა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან. ვინაიდან არ ვეთანხმებოდი ასეთ გადაწყვეტილებას, განცხადებით მივმართე რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს, რათა გადაესინჯათ რაიონული კომიტეტის დადგენილება.**

**რესპუბლიკური კომიტეტიდან მიპასუხეს, რომ მე დავგვიანე გადაწყვეტილების გასაჩივრება და ჩემი განცხადება ამიტომ არ ექვემდებარება განხილვას.**

**გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენად სწორია ეს პასუხი. Გ. Შ.**

## ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲕᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲘᲡᲗᲔᲑᲘᲡᲐᲪ.

**განმარტებისათვის მივმართეთ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს, სადაც გვიპასუხეს:**

— სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონის 24-ე მუხლში — პასუხისგებაში მიცემის შესახებ სახალხო კონტროლის კომიტეტების დადგენილებათა გასაჩივრებისა და კომიტეტების მიერ დადებული სასჯელის მოხსნის წესი — ნათქვამია:

„სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილება სასჯელის დადების, ფულადი დარიცხვის, დაკავებული თანამდებობიდან დაგაყენების შესახებ თანამდებობის პირს შეუძლია ათი დღის ვადაში გაასაჩივროს სახალხო კონტროლის ზემდგომ კომიტეტში ან სხვა ორგანოში, რომელიც ხელმძღვანელობს დადგენილების გამომტან სახალხო კონტროლის კომიტეტს.

თანამდებობის პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გამოტანილ დადგენილებაზე საჩივარი განიხილება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში".

როგორც შევამოწმეთ, შეკითხვის ავტორის საჩივარი სახალხო კონტროლის რესპუბლიკურ კომიტეტში შემოტანილი იყო რაიონული კომიტეტის მიერ დადგენილების მიღებიდან მეთხუთმეტე დღეს. სწორედ ამის გამო ამხანაგ გ. შ-ს განცხადება არ დაექვემდებარა განხილვას.

# ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

**ᲝᲗᲮ** თვეზე მატმა განვლო მას შემდეგ, რაც ბათუმის ხის დამამუშავებელ კომბინატში სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრება გაიმართა. მას წინ უძღოდა საამქრო ჯგუფების ანგარიშგება-არჩევნები. ამ კამპანიაში იგრძნობოდა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი როლი, რამაც უზრუნველყო არჩეულნი მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა. ამ ეტაპზე ეს ფაქტორი ბევრ ადგილზე ჯერ ვერ ფასდება. ეს ეფექტიანობა ეფუძნებოდა ჯგუფების ინიციატივას, ინიციატივა — ინიციატივა, ოღონდ ეს ინიციატივა ეფუძნებოდა ორგანიზაციულ ფაქტორებს, ეფუძნებოდა ადამიანთა ინიციატივის ორგანიზებულ ფორმ

**ᲬᲚᲔᲣᲚᲘ დაბადების ასი წელი უსრულდება თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერ-გამომგონებელს ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲔᲭᲐᲣᲠᲘს. ცნობილია, რომ მის ნიჭსა და ორგანიზატორულ უნარს დიდად აფასებდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. სწორედ ლენინის უშუალო მითითებით შეიქმნა საგანგებო ტექნიკური ბიურო, რომელსაც სათავეში ვ. ბეჭაური ჩაუდგა.**

**ვ. ბეჭაურის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით წერილები, მოგონებები გამოგზავნეს მისმა კოლეგებმა, მოწაფეებმა, იმ ადამიანებმა, რომლებიც მასთან ერთად მუშაობდნენ საგანგებო ტექნიკურ ბიუროში. გთავაზობთ ერთი მათგანის ვლადიმერ ანდროპოვის მოგონებას.**



# საქმისა და ოცნების კაცი

**ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ** ვ. ი. ულიანოვის სახელობის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის IV კურსზე საგანგებო შეთხვევა მოხდა. 18-კაციანი მცირე ჯგუფიდან 8 სტუდენტი შეგვარჩიეს, წაგვიყვანეს ახალი სპეციალობის — ავტომატიკისა და ტელემექანიკის შესაწავლად. ჩვენთან დამატებითს მეცადინეობას უძღვებოდნენ მრეწველობის დარგის თვალსაჩინო ძუშაკები, რომლებმაც საუცხოოდ, ყოველგვარი კონსპექტის გამოუყენებლად, იცოდნენ მასალა, კონსპექტების წერა ჩვენც გვეკრძალებოდა.

1937 წლის მარტში მთელი ჩვენი ჯგუფი გაგვაგზავნეს ტექნიკურ ბიუროში. ჩაგვრიცხეს ტეტექნიკოსებად. მივხვდით, ჩვენი სპეციალიზაციის ასეთი მკვეთრი შეცვლა სწორედ ამ ორგანიზაციის გამო მოხდა. გავიგეთ, რომ საქმე გვქონდა სოლიდურ საწარმოსთან, რომელსაც სათავეში ედგა ძლიერი კაცი.

აი, ჩვენ ახალ ადგილზე და ახალ ამბლუაში ვართ. ვმუშაობთ საოცარ პირობებში. ვსხდავართ ცალ-ცალკე ოთახებში. ურთიერთობა გვაქვს მხოლოდ დიპლომის ხელმძღვანელთან. სადიპლომოდ ვამუშავებთ ტორპედოსანი კატარღების ტელემართვის, მაგნიტურ საქმეებთან დაკავშირებულ და სხვა საკითხებს.

პირველი მაისის დღესასწაული ახლოვდებოდა. ჩვენს ოთახში რაღაცაზე ვკამათობდით. ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა — ოთახში შემოვიდა ნახევრად სამხედროფორმიანი, მკვრივი აგებულების, თაგვგადაპარსული, პატარაულვაშებიანი, ძოლიმარი კაცი, ვინაც კოტოვსკის სურათი უნახავს, სწორედ იმას ჰგავდა.

— გამარჯობათ, გილოცავთ დღესასწაულს! — მოგვმართა ოდნავ შესამჩნევი აქცენტით. — ამიერიდან ჩვენ ერთად ვიმუშავებთ. მე დირექტორი ვარ — ვლადიმერ ივანეს ძე ბეჭაური.— გაგვეცინო იგი. — ყველაფერი იცვლება. მოდის გაზაფხული. გარეთ თბილა, დგება მეოცნებეთა დრო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არიან თქვენს შორის მეოცნებენი? — გვკითხა როგორღაც მოულოდნელად.

დიახო, დაუფარავ-ტურეთ.

— ეს კარგია, თუ არ იოცნებე, კარგი ინჟინერი ვერ იქნები.

შემდეგ დაგვიწყო კონკრეტულ საქმეებზე ლაპარაკი და იგი რაღაც ზღაპრული სამეფოს რაინდად წარმოგვიდგა.

— მეც მაქვს სანუკვარი საფიქრალი და ვოცნებობ მის განხორციელებაზე. — ლაპარაკობდა გატაცებით, თან ხელების, ტანის და თავის მოძრაობითაც გამოხატავდა, რის გადმოცემაც სურდა. რა არის ეს? მალე მივხვდით, რომ მიფრინავს თვითმფრინავი.

— შემოდით ჩემთან სამუშაოს შემდეგ, რას უყურებს პროფკავშირი?

როცა სამუშაო დამთავრდა, გოლუბევი შევიდა დირექტორის კაბინეტში. ჩვენ გარეთ დავველოდეთ.

—აი პაკეტი გადმომცეს. ვლადიმერ ივანეს ძე საქალაქო კომიტეტში წასულა, გამოუძახებიათ. უთხოვნია, პაკეტი ჩემთვის გადმოეცათ, — გვითხრა ვალოდიამ. გავხსენით პაკეტი. იქ ფული იყო, საკმაოდ ბლომდაც. ეყოფა ტანსაცმლისათვის ვალოდიას, მის ბავშვებს და ცოლს...

— საიდან ეს ფული? — კითხულობს ნ. ტიტოვი. — სახელმწიფო ფულის ხარჯვა ხომ მხოლოდ მკაცრი დანიშნულების მიხედვით შეიძლება და ისიც მკაცრი აღრიცხვით. პროფკავშირთან საკითხი ასე სწრაფად ვერ შეთანხმდებოდა. ალბათ საკუთარი ჯიბიდან გაიღო, რატომაც არა? ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ვლადიმერ ივანეს ძე ხმირად ღებულობდა სოლიდურ თანხებს თავისი გამოგონებებისათვის. კეთილი და ყურადღებიანი კაცი იყო. 17 წელს იდგა საჭესთან და სამსახურიდან ის მოსწყდა დედამიწას, აიჭრა მაღლა, მობრუნდა, გააკეთა მკვდარი მარყუჟი, კასრი, წავიდა პიკზე, ბოლოს ისევ აიღო სიმაღლე, მოუხვია და დაბრუნდა ბაზაში...

ვლადიმერ ივანეს ძე ერთხანს შეჩერდა, მერე კი აგზნებული ხმით გვითხრა:

— თვითმფრინავს ხვდება დაჯდომის უზრუნველმყოფი საშუალებები. არ არის მხოლოდ სასწრაფო დახმარების მანქანა. იღება ჟალუზები და ყველა მივარდება თვითმფრინავს ლეგენდარული მფრინავების შესახვედრად, მაგრამ... მფრინავები არ არიან და არც ყოფილან. ეს არის უმფრინავო თვითმფრინავი, თვითმფრინავი-რაკეტა, რომელიც მრავალჯერ გამოსაყენებლად გამოდგება.

ვლადიმერ ივანეს ძე განაგრძობს:

— თქვენ წინ მრავალი სიძნელეა. შეგხვდებათ მარცხიც და გამარჯვებებიც. ყველაფერი წინ გაქვთ, თქვენმა თაობამ უნდა განახორციელოს კაცობრიობის ბევრი ოცნება.

საუბარი გაგრძელდა. კარგ გუნებაზე ვართ.

— ჩემი წასვლის დროა. უნდა დავუბრუნდე სადაგ საქმეს, — ამბობს ვლადიმერ ივანეს ძე.

უცებ ახალგაზრდა სპეციალისტ ვ. გოლუბევს მიუბრუნდა:

— თქვენ რა, ავადა ხართ? სახეზე ფერი არ გადევთ. ჭამეთ დღეს? კოსტიუმი უნდა გამოიცვალოთ და ეგ ქოშებიც. ფეზზე რომ გაცვიათ. არა, ძმაო, ასე არ შეიძლება. მითხარით, რაშია საქმე?

გოლუბევი დუმს, თითქოს პირში წყალი ჩაეგუბებინოს. ჩვენ ოთქმის ერთხმად ავუხსენით მდგომარეობა, ვუთხარით, რომ ვალოდია ცოლ-შვილიანია, ჰყავს ორი შვილი, ცოლი არ მუშობს. ეს ყველას უყვარდა, ორგული არავინ ჰყოლია. დიახ, შესანიშნავ ადამიანთან მოგვიწია მუშაობამ.

ასეთი იყო პირველი შეხვედრა ახალგაზრდა სპეციალისტებისა თავის დირექტორთან ვ. ბეჭაურთან, რომელშიც შემდეგ ბრწყინვალე მეცნიერი-გამომგონებელი და მუშაობის შესანიშნავი ორგანიზატორი შევიცანით.

აი ვ. ბეჭაურის ბიუროში მუშაობის სტილის ზოგადი დახასიათება: მიმოწერის მაქსიმალური სიმცირე, მითითებებისა და გადაწყვეტილებების ზუსტი შესრულება, პრემიებს ვღებულობდით მხოლოდ გეგმის ყოველი პუნქტის ხარისხიანი შესრულებისათვის, კრიზისული სიტუაციის დროს ჩამორჩენილი ქვეგანაყოფები გამოკიდებდნენ „ძეხვს“ და სხვები წაგაშველებდით ხოლმე ხელს.

რა თქმა უნდა, როგორც ყველა დიდ საქმეში, არც ჩვენთან იყო გამორიცხული წუნი და მაშინ ყველაფერი თავიდან იწყებოდა, სუფთა ფურცლით. ყველაფერი ეს კეთდებოდა უხმაუროდ, არაფრისმაქნისი ფუსფუსის გარეშე.

ახალი ნახაზები სრულდებოდა დადგენილ ვადებში, ლაბორატორიის თანამშრომელთა დახმარებით. დიდად ფასდებოდა საშემსრულებლო დისციპლინა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილება.

აქტივის ერთ-ერთ კრებაზე ვ. ბეჭაურმა ძალიან მოკლედ გამოხატა თავისი აზრი: მე ბიუროკრატიზმის მტერი ვარ. ნაკლები სიტყვა და ქაღალდი, მეტი საქმე! პასუხი აგე მონდობილი საქმისათვის. თუ არ შეგიძლია, წადი. მოინახებიან ინიციატივიანი ადამიანები. ნუ გეშინია შეცდომისა, ჯობია ერთხელ შეცდე, ვიდრე ვერ გადაწყვიტო ასობით წამოჭრილი საკითხი.

ვ. ბეჭაური განსაკუთრებით მომთხოვნი იყო ხელმძღვანელი შემადგენლობის მიმართ. ამბობდა: ხელმძღვანელ სამუშაოზე შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც მთლიანად და დამოუკიდებლად უზრუნველყოფს თავისი მოქმედების უბანს. ასეთი საზომი მაქვს და მეენება, მანამ ცოცხალი ვარო.

1939-40 წლებში უბეჭაუროდ გვიწევდა მუშაობა... დაიწყო დიდი სამამული ომი. ბევრნი წავიდნენ ფრონტზე, განსაკუთრებით სახელო ლაშქარსა და გამანადგურებელ ბატალიონებში, ინსტიტუტის ნაწილი ევაკუირებული იყო ქალაქ სვერდლოვსკში. შევუდექით „კატიუშასთვის“ საბრძოლო მასალის დამზადების ათვისებას. ვმუშაობდით პრინციპით „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის“. მუშაობა დაძაბული იყო, ვადები — შემჭიდროებული. რასაც წინათ 5 წელი სჭირდებოდა, ახლა 1,5-2 წელიწადში უნდა შეგვექმნა.

1944 წელს ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივნად ამირჩიეს. ახალგაზრდები ვიყავით დირექტორიც, მთავარი ინჟინერიც და მეც.

რით უნდა დაგვეწყო?

უნდა მოგვემზადებინა შენობები ზამთრისათვის, მარჯვედ შეგვერჩია კადრები, გაგვეგრძელებინა ძველი სამუშაოები და აგვთვისებინა ახალი ტექნიკური მიმართულებანი, ძირითადად, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გარეშე, პირდაპირ საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებით.

შევიმუშავეთ ადმინისტრაციული და პარტიული ხელმძღვანელობის სტრატეგია და ტაქტიკა. აუცილებლად უნდა შეგვენარჩუნებინა კოლექტივის ძველი ტრადიციები: ყველა ერთისათვის, ერთი — ყველასათვის. უკვე 3 წლის შემდეგ სამუშაოთა მოცულობამ ომამდელ დონეს გადააჭარბა. მაგრამ, ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ წინაშე მდგომ ამოცანებს მთლად რიგიანადაც როდი ვუძღვებოდით. მოზღვავდა ბევრი ქაღალდი. პრემიებს თანამშრომლებს ყოველთვიურად კი არა, ახლა უკვე კვარტალურად ვაძლევდით, ისიც 1,5-2 თვის დაგვიანებით, სხვა მხრივ ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. მაშინ მივხვდი კარგად, რომ ვლადიმერ ივანეს ძე ბეჭაური იყო არა მარტო ნიჭიერი მეცნიერი და გამომგონებელი, არამედ მთელი მეცნიერულ-ტექნიკური პროცესის საუცხოო ორგანიზატორიც.

**Ვ. ᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲕᲘ,**
**ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პერსონალური პენსიონერი.**
**Ჯ. ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ.**



# ᲖᲔᲘᲛᲘ ᲑᲐᲚᲛᲐᲠᲐᲜᲨᲘ

**ᲒᲣᲚᲠᲘᲤᲨᲘᲡ** რაიონის ეს სოფელი მთელ აფხაზეთშია ცნობილი თავისი გამრჯე, შრომისმოყვარე ადამიანებით. ამ ინტერნაციონალურ სოფელში მხარდამხარ შრომობენ და იღვწიან ქართველები, აფხაზები, ბერძნები, სომხები, უკრაინელები. ისინი გაორკეცებული ენერგიით შრომობენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ამ საიუბილეო წელს.

ვ. ი. ლენინის სახელობის ადგილობრივი კოლმეურნეობის ეკონომიკურ სიმძლავრეზე მეტყველებს ის, რომ უკანასკნელ წლებში აქ გაშენდა საშუალო სკოლის ორსართულიანი კეთილმოწყობილი შენობა, სოფლის ცენტრალური გზის 13 კილომეტრზე დაიგო ასფალტი (მალე ეს სამუშაო მთლიანად დამთავრდება), აიგო მაღაზიისა და ფერმის ახალი შენობები, სასილოსე და სასენაჟე კაპიტალური ტრანშეები, თამბაქოს საშრობი ფარდულები და სხვა. პარალელურად, სულ უფრო შენდება და მშვენდება სოფლის ცენტრი.

კულტურის სახლის გახსნასთან დაკავშირებით სიმბოლური წითელი ლენტი საზეიმოდ გაჭრა საქართველოს კომპარტიის გურიფშის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ნაჭყებიამ, რის შემდეგაც კრება გახსნა ბაღმარნის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. ჩემიამ. კოლმეურნეობის მშრომელთა საქმიანობაზე, მათს სამომავლო ამოცანებზე ილაპარაკა ადგილობრივი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ქარდავამ. შეკრებილთ მიესალმნენ და ახალი შრომითი წარმატებები უსურვეს გულრიფშის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ბერიამ, მოწინავე კოლმეურნეებმა თ. ლიპარტიამ, მ. დგებიამ, მოსწავლემ დ. ბაბლუანმა, მასწავლებელმა მ. გუჩუამ და სხვებმა.

ბაღმარნელთა ზეიმში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. მოსკალენკო, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ავტონომიური რესპუბლიკის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე ს. საადიანი, სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

**Ი. ᲒᲝᲜᲯᲘᲩᲘᲐ,**
**„კომუნისტის“ სპეც. კორ.**



**ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲘ:** გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარნის კულტურის სახლის ახალი შენობა.
**Შ. ᲘᲑᲠᲐᲘᲛᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**

# ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲗ „ᲝᲠᲑᲘᲢᲐ“

**ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲑᲐᲒᲐᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ** საშუალებათა მრეწველობის სამინისტროს ეს ახალი საფირმო მაღაზია-სალონი, რომელმაც მშვიდობის გამზირზე დაიდო ბინა, ახლახან გაიხსნა. მას უკვე ეწევნენ თბილისელები და ჩვენი დედაქალაქის სტუმრები.

მაღაზია-სალონის ძირითადი მიზანია ყოველმხრივ შეისწავლოს მომხმარებლის მოთხოვნა და ფართო პროპაგანდა გაუწიოს სამამულო რადიოტელეაპარატურას. აქ, ძირითადად, წარმოდგენილია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქარხნის მიერ დამზადებული რადიო და ტელეაპარატურა, აგრეთვე თბილისის საწარმოო გაერთიანება „ეკრანის“ მიერ გამოშვებული ტელევიზორები — „ოვერია ᲒᲐ-202“.

საფირმო მაღაზია-სალონის მომსახურე პერსონალი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით. აქაური სპეციალისტები მომხმარებელს წინასწარ უტარებენ ინსტრუქტაჟს ამა თუ იმ ნაწარმზე, ცდილობენ, გემოვნებისა და საცხოვრებელი პირობების მიხედვითაც კი შეურჩინონ საქონელი. უფრო მეტიც, მსურველს შეუძლია ბინაზე მიტანით შეიძინოს მისთვის სასურველი საქონელი და შესაფერისი ადგილის შერჩევა-განლაგებაშიც დაიხმარონ იგივე სპეციალისტები.

„ორბიტის“ ასორტიმენტი კიდევ უფრო გამდიდრდება მომდინარე წლის სექტემბრიდან — მოეწყობა რიგის გაერთიანება „რადიოტექნიკისა“ და ლვოვის გაერთიანება „ელექტრონის“ ახალი მარკის ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა.

ჯერჯერობით კი აქ გამოტანილია 14 დასახელების ტელევიზორი, მუსიკალური სარავები, ტრანზისტორული რადიომიმღებები, მაგნიტოფონები, ახალი ტიპის ტელეანტენები, მონო და სტერეოაპარატურა...

**Თ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ**
**ტექსტი და ფოტო.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲘ:** საფირმო მაღაზია „ორბიტას“ ტელევიზორების სალონი.

## ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

# ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲤᲚᲔᲤᲘ

**ᲩᲣᲠᲩᲣᲚᲘᲗ** ნათქვამ ჭეშმარიტებას ცეცხლისა და მახვილის ქრა აქვს, არაგულწრფელი ვაშა თოვლის ფიფქზე ნაკლებ გამძლეა...

**ᲛᲐᲜᲗᲘ** — სიტყვაც ძლიერია, მით უმეტეს, თუ სამკურნალოდ ხმარობ.

თუ სიხარბე არ მოიკვეთა — მეტასტაზია, მთელ სხეულს მოედება.

ჩვენ ხალხს ავბედობით, კეხეთში ვენახის აჩეხვით დაწყებული, სამგერელოში გასაყიდად დედის ძუძუს მოგლეჯილი ყრმით დამთავრებული, უფრო დიდი მტერი არ ჰყოლია, ვიდრე ძარცვა-გლეჯით გამდიდრების სენი.

სამღერით ტოვებდა ლაშქარში მიმავალი ჩვენი კაცი ოჯახს — „ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო“!

ამბობენ, როცა სასამართლომ ქართველი კაცი ქურდობისათვის გაასამართლა, ჭაეშვაძის ქალებმა შვენები ჩაიცვესო. რა თქმა უნდა, იგლოვებდნენ ამ ფაქტს ქართველი ქალები.

ჩვენ, პატიოსანი, მშრომელი, „ლუკმის გამყოფი“, მეომარი ხალხი ვართ. ჩვენ რომ ქურდი და მტაცებელი გვყოლოდა, როგორ გადავრჩენდით თავს. პატარა კახის დროშას ნაამბორად ქართველებს პატიოსნების და ერთგულების იმედად გვქონდა „გული რკინისა“ და „აბჯარი თუნდაც ხისა“.

სამამულო ომშიც დიდი სისხლი გავიღეთ, არც პირველ 1812 წლის სამამულო ომში ვყოფილვართ ჯაბანი. სადაც სიმართლისა და პატიოსნების კელაპტარი ენთო, იქ ქართველ კაცს თავისი წილი „სახთელ-საკმეველი“ გულისა და სისხლის ფასად ჰქონდა მიტანილი.

...დიდი ხნის აღ არის სიხარბის ჭია, ამ ბოლო 20 წელიწადში აქა-იქ შეგვიჩნდა ეს მავნე სიმსივნე, და მადლობა ღმერთს, დროზე მიხვდა ქვეყანა ხალხის სატკივარს. ომამდე, გაფლანგვაზე ვინმეს რომ დაიჭერდნენ, ან ესე იტყოდნენ გამფლანგველიაო, დიდი სირცხვილი იყო. ხმა რომ დაირხეოდა „7 აგვისტოს“ კანონით ასამართლებენო (იყო ასეთი კანონი) ქვეყანა ფეხზე იდგა, რაღაც უფრო მეტი იყო ვიდრე სავანგები. ახლა რომ უბრალოდ იტყვიან 96-ე მუხლის პირველი ნაწილით ასამართლებენო, „დიდი კი არაფერი უქნია, სახელმწიფო თანხას ედავებიანო“. ბევრი ისე შეეჩვია, ისე შეეგუა ასეთ ლაპარაკს, რომ მათთვის არც ხაზინის ჯიბეში ხელის ფათური და არც მექრთამეობა, არც სათაკილოა და არც სამარცხვინო! აღლობლები და ნათესავები დაირაზმებიან, რომ „ჩავარდნილი“ იხსნან, როგორც შემთხვევით გზას აცდენილი ყმაწვილი. გამეორება ცოდნის დედაო. სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის გამეორება ცოდნის დედა, გამეორება ზოგჯერ აზრის დაკარგვიდებაცაა. ამიტომ უსარგებლო არ იქნება, თუ ბევრჯერ ნათქვამ ჭეშმარიტებას კიდევ ბევრჯერ გავიმეორებთ:

— საზოგადოებამ ბოიკოტის გრძნობა არ უნდა დაჰკარგოს — ეს დამღუპველია!

იყო დრო, ათი ყოსტიუმი რომ შეეკერა ვინმეს, ყველას ერთნაირს იკერავდა, ხალხსა ერიდებოდა. ყველა თითზე ცოლს ბრილიანტის ბეჭდებით არ ატარებდა, ხალხისა და კანონის ეშინოდა, ერიდებოდა... ამით პატიოსანი კაცი რაღაც პრივილეგიას გრძნობდა და იმ საამაყო ფრაზის სხარულს განიცდიდა, ყველას რომ გაგვიგონია: „თავს ბალიშზე რომ დავდებ, არხეინად მძინავსო“.

ჩანს, ეს ფრაზა და ბევრი ძველი შეხედულება სინდის-ნამუსზე დღეს ზოგიერთისთვის დრომოჭმული გახდა და ქურდმაც არხეინად დაიძინა და მისმა რეკეტიორ-კონტროლიორმაც.

არაშრომითი შემოსავლით, არმად შეძენილი სახლები, აგარაკები, ოქრო-ვერცხლი და... კიბილისის საექსპლოატაციოდ გადაცემამდე. ამ გემოვნებით ნაგები შენობის საკმაო დარბაზი 200 კაცს იტევს, აქვე მოთავსდა კინოდანადგარი, ბიბლიოთეკა, სამეცადინო ოთახები სპორტული და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისათვის. მეორე სართულის ოთახები კი კოლმეურნეობის კანტორას დაეთმო.

კულტურის სახლის გახსნასთან დაკავშირებით სიმბოლური წითელი ლენტი საზეიმოდ გაჭრა საქართველოს კომპარტიის გურიფშის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ნაჭყებიამ, რის შემდეგაც კრება გახსნა ბაღმარნის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. ჩემიამ. კოლმეურნეობის მშრომელთა საქმიანობაზე, მათს სამომავლო ამოცანებზე ილაპარაკა ადგილობრივი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ქარდავამ. შეკრებილთ მიესალმნენ და ახალი შრომითი წარმატებები უსურვეს გულრიფშის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ბერიამ, მოწინავე კოლმეურნეებმა თ. ლიპარტიამ, მ. დგებიამ, მოსწავლემ დ. ბაბლუანმა, მასწავლებელმა მ. გუჩუამ და სხვებმა.

ბაღმარნელთა ზეიმში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. მოსკალენკო, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ავტონომიური რესპუბლიკის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე ს. საადიანი, სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

**Ი. ᲒᲝᲜᲯᲘᲩᲘᲐ,**
**„კომუნისტის“ სპეც. კორ.**

**ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲘ:** გულრიფშის რაიონის სოფელ ბაღმარნის კულტურის სახლის ახალი შენობა.
**Შ. ᲘᲑᲠᲐᲘᲛᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.**

## ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

# ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

**ᲠᲐᲛᲓᲔᲜ** საათს გრძელდება მოჭადრაკის „სამუშაო დღე“? თუ თბილისის საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებზე ვილაპარაკებთ, შეგვიძლია აღვნიშნოთ — „შვიდსაათიანი დღე“, ორი საათი დილით, როდესაც გადადებული პარტია მთავრდება, 5 საათი საღამოთი. ასეთი მკაცრი რეგლამენტი, ცხადია, დიდ გამძლეობას მოითხოვს.

მეექვსე ტურის წინ დამთავრდა გადადებული პარტიები. უბილავამ მოუგო მურშადს. გიორგაძე-ველიჩკოვიჩი, ზაიჩიკ-ფოიმორი, ოლ-ნოგეირასი და მნაცაკანიან-ადამსკი ყაიმზე შეთანხმდნენ. მეექვსე ტურში მორიგი გამარჯვება იზეიმა გავრიკოვმა. მან შავებით უპირატესობა მიიღო ველიჩკოვიჩთან. იუგოსლავიელი ოსტატი გარდუვალი მატერიალური ზარალის წინაშე დადგა და შეწყვიტა წინააღმდეგობა. ახლა გავრიკოვს. უნიკალური შესაძლებლობა ეძლევა იბრძოლოს ერთბაშად სამი (!) ნორმის შესასრულებლად? 6 ქულა მას ფიდეს ოსტატის წოდებას მოუტანს, 8 ქულა — საერთაშორისო ოსტატობას, 11 ქულა კი საერთაშორისო დოსტატის ბალს. ვნახოთ! აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ახალგაზრდა ვილნიუსელს მინიჭებული აქვს საბჭოთა დიდოსტატის ერთი ბალი.

ᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲛᲝᲓᲐᲠᲔ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

# ᲡᲘᲫᲚᲘᲔ ᲡᲘᲮᲐᲠᲑᲔᲡᲐ ᲨᲕᲜᲡᲐ...

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲓᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲭᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔᲡᲔᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲘᲜᲩᲘᲠᲐᲫᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ